ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

## „ლარმა 2008 წლის აგვისტოს ომს გაუძლო და ახლა რა ხდება?!“

გვ.2



19 ივლისიდან

რევაზ მიშველაძე

ციყვი ბორბალში

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი




ხუთშაბათი, 1 აგვისტო, 2019 №180 (8134) ფასი: 60 თეთრი

# „ესენი ვინ არიან, შევარდნაძე რომ სანატრელი გაგიხდება, რა!“



გვ.3

შალვა ხაჭაპურიძე: „ოქრუაშვილის დაკავებით მისი პოლიტიკური რეაბილიტირება მოხდა“

## პოლიციის უფროსმა მაკო გომურს შეაგინა და აქციის მონაწილეს სცემა



— რა უნდოდა, მა დედა... რას მოეთრეოდა აქციაზე, თვალიც ექნებოდა და ფეხიც, — გაიძახოდა ხმამაღლა შეკვეთილის აქციის მიმდინარეობისას ჯანაშვილი.

გვ.3



## „საფრანგეთის ციხეში პაატა ახალაძე ტუბერკულოზით მოკლეს“

გვ.3



კახა აბუაშვილი: „ცოლი დაუჭირეს, შვილები მარტო დაუტოვეს, ავადმყოფი მამა და დედა მარტო დაუტოვეს“



## მამუკა ახვლედიანი: „20 ივნისის ღამეს პოლიციელები ისე განალაგეს, რომ აქციის მონაწილეებთან შეტაკება მომხდარიყო“

გვ.2



## ჯემალ გამახარია: „გარუსება-გააფხაზება გალის რაიონში მოსალოდნელი არ არის“

გვ.4

## სუსის ანტიკორუფციულმა სააგენტომ ქრთამის მიცემის ფაქტზე ერთი პირი დააკავა



გვ.5

### სამართალი

გვ.5



## სასამართლომ ირაკლი ოქრუაშვილი პატიმრობაში დატოვა



## მაშველებმა თუშეთში ავარიაში დაღუპული მამაკაცის ცხედარი იპოვეს



## თბილისის აეროპორტში სამხრეთ აფრიკიდან მომავალ მგზავრს 20 კგ მარიხუანა უპოვეს

ISSN 1987-9385

6 მოსკოვის მერიამ 3 აგვისტოს საპროტესტო აქცია აკრძალა

5 ურეკში ზღვაში 12 წლის გოგონა და ახალგაზრდა ქალი დაიხრჩვნენ

4 „ევოლუშენ ფეიმინგის“ 500 თანამშრომელი გაიფიცა

6 ჩრდილოეთ კორეამ ბალისტიკური რაკეტების გამოცდა განაახლა

# ალექსანდრე თვალჭრელიძე: „ლარმა 2008 წლის აგვისტოს ომს გაუძლო და ახლა რა ხდება?!“

## ეროვნულმა ბანკმა 40 მილიონი დოლარის ინტერვენცია გადაწყვიტა

ნათია ხურცილავა

ეკონომიკის ექსპერტი, პროფესორი ალექსანდრე თვალჭრელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ლარის გაუფასურების მიზეზებსა და შედეგებზე საუბრობს.

***– ბატონო ალექსანდრე, მთავრობის წევრები მიიჩნევენ, რომ ლარის გაუფასურება გარე ფაქტორებით არის განპირობებული. პრემიერმა განაცხადა, რომ ლარი ზედმეტად გაუფასურდა. რამდენად საგანგაშოა ლარის ასეთი გაუფასურება?***

– რა თქმა უნდა, საგანგაშოა! მე ვეთანხმები რომან გოცირიძის განცხადებას, თუ 1 დოლარის ღირებულება 3 ლარს გასცდება, მაშინ ჩვენ, ამ ქვეყნის მოქალაქეებმა, ძალიან მკვახე პასუხი უნდა მოვთხოვოთ პრემიერ-მინისტრს და ეროვნული ბანკის პრეზიდენტს. ასე გაგრძელება შეუძლებელია.

***– თქვენ მაინც რას უკავშირებთ ამ რეკორდულ მაჩვენებელს?***

– მიზეზი სხვადასხვაა. თუმცა, იმის განცხადება, რომ ლარის გაუფასურება რუსთაველის გამზირზე გამართულ აქციებს უკავშირდება, არ შეიძლება. შეუძლებელია, ეროვნული ვალუტის ასეთი გაუფასურება ამას გამოეწვია. ლარმა რუსეთ-საქართველოს ომსაც კი გაუძლო 2008 წელს და რუსთაველზე მიმდინარე აქციებს რა ასეთი გავლენა უნდა მოეხდინა, რომ 1 დოლარის ღირებულება 3 ლარი გამხდარიყო?!

მე გაგახსენებთ თქვენ 1998 წლის რუსეთის დეფოლტს, როდესაც მაშინდელმა ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა ირაკლი მანაგაძემ ლარის კურსი შეინარჩუნა. ვისაც რუსეთის დეფოლტი ახსოვს, კარგად მიხვდება, რაზე ვსაუბრობ!



მე ვერც საგარეო ფაქტორებს დავუკავშირებდი ლარის ასეთ მკვეთრ გაუფასურებას. ჩვენს მეზობელ სახელმწიფოებში, სომხეთსა და აზერბაიჯანში, გაცვლითი კურსი აბსოლუტურად სტაბილურია.

მე არ მგონია, რომ ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა საერთოდ არ იცის თავისი საქმე, ან ლარის გაუფასურება მიზანმიმართულად ხდება.

***– ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა განაცხადა, რომ თუ ლარის გაუფასურების ტენდენცია გაგრძელდება, ჩვენ ხელთ არსებულ ინსტრუმენტებს გამოვიყენებთო. რატომ არ ერევა ეროვნული ბანკი?***

– ეს არის შემაშფოთებელი განცხადება! როგორ, ეროვნული ბანკი ლარის სიკვდილს დაელოდება და შემდეგ გადადგამს ნაბიჯებს?! შემდეგ იმოქმედებს?! რა ნიშნულამდე უნდა დავარდეს ლარი, რომ ეროვნულმა ბანკმა ინტერვენცია განახორციელოს ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტები გამოიყენოს?! ეროვნულ ბანკს აქვს ბერკეტი და მას შეუძლია ეს ბერკეტი გამოიყენოს!

ეროვნულმა ბანკმა ეროვნული პოლიტიკა უნდა გაატაროს და არ უნდა იყოს საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტივების უსიტყვო განმახორციელებელი.

***– რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას, რომ ლარის გაუფასურება არ გაგრძელდეს?***

– მე, სიმართლე გითხრათ, ვერ გავიგე, რატომ არ იყენებს მის ხელთ არსებულ ბერკეტს ეროვნული ბანკი! ახლა, ამ ეტაპზე, პირველი ნაბიჯი სწორედ ეროვნულმა ბანკმა უნდა გადადგას, მან უნდა იმოქმედოს. მერე მოდის უკვე მთავრობა, მისი ნაბიჯები ერთობლიობაში და ა.შ. მაგრამ ეს უფრო ხანგრძლივი პროცესია.

***– ეს ყველაფერი მოსახლეობაზე აისახება, ალბათ ის კიდევ უფრო გაღარიბდება. ამ შემთხვევაში როგორ შეიძლება მოვლენები განვითარდეს?***

– ეს არის ყველაზე საგანგაშო მდგომარეობა. ქვეყანაში მიმდინარე ყველა მოვლენა მეტნაკლებ გავლენას ახდენს ადამიანის, იმ ქვეყნის მოქალაქის ცხოვრებაზე. ეროვნული ვალუტის გაუფასურება კი პირდაპირ მის ცხოვრებაზეა მიბმული, მის ცხოვრებაზე ჰპოვებს მყისიერ ასახვას.

რასაკვირველია, ლარის ასეთი გაუფასურება ამ ქვეყნის მოქალაქეებზე ნეგატიურ გავლენას მოახდენს და ამას ყველა იგრძნობს. ეს ყველაფერი აზიანებს და ურტყამს მოსახლეობას, მის ჯიბეს. ასევე ეს ყველაფერი დამღუპველია იმპორტიორებისთვის. ინფლაცია პირველ რიგში პროდუქციის გაძვირებას იწვევს.

ჩვენთან პროდუქციის აბსოლუტური უმრავლესობა იმპორტირებულია, რადგან ეროვნული წარმოება არ გვაქვს. ამიტომ არის, რომ ინფლაცია პირდაპირ პროდუქციის გაძვირებას იწვევს, რაც მოსახლეობას ცხოვრებას უძვირებს.

ჩვენ საარჩევნო პერიოდში შევდივართ. არჩევნები კარს მოგვადგა. ამიტომ, თუ მმართველი პარტია საზოგადოების მოთხოვნებს ადეკვატურ პასუხს არ გასცემს, მდგომარეობა კიდევ უფრო გამწვავდება.

რა თქმა უნდა, ლარის მდგომარეობა ამ ყველაფერზე ძალიან დიდ გავლენას იქონიებს.

❖ ❖ ❖

ინტერვიუ უკვე ჩაწერილი იყო, როდესაც გავრცელდა ეროვნული ბანკის განცხადება 1 აგვისტოს 40 მილიონი დოლარის მოცულობის ინტერვენციის განხორციელების შესახებ.

განცხადებაში ნათქვამია:

„ეროვნული ბანკის შეფასებით, მიუხედავად დადებითი შიდა და საგარეო მაკროეკონომიკური დინამიკისა, ტურიზმთან დაკავშირებული შოკისა და ნეგატიური მოლოდინების ფონზე, დღეისათვის გაცვლითმა კურსმა ისეთ ნიშნულს მიაღწია, რომელმაც შესაძლებელია რისკი შეუქმნას ფასების სტაბილურობას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ეროვნული ბანკი მიზანშეწონილად მიიჩნევს მის ხელთ არსებული ინსტრუმენტების თანმიმდევრულ გამოყენებას, რათა არ მოხდეს ამ რისკის მატერიალიზაცია.

ამ მიზნით, ეროვნული ბანკი 1 აგვისტოს, სავალუტო აუქციონზე 40 მილიონ აშშ დოლარს გაყიდის.

საჭიროების შემთხვევაში, ეროვნული ბანკი ინტერვენციებს მომავალ დღეებშიც მიმართავს. თუ გაცვლითი კურსიდან მომდინარე წნეხი ინფლაციაზე შენარჩუნდა, ეროვნული ბანკი ასევე გაამკაცრებს მონეტარულ პოლიტიკას.“

# მამუკა ახვლედიანი: „20 ივნისის ღამეს პოლიციელები ისე განალაგეს, რომ აქციის მონაწილეებთან შეტაკება მომხდარიყო“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს საქალაქო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე მამუკა ახვლედიანი პასუხობს

***– ბატონო მამუკა, რას იტყვით ირაკლი ოქრუაშვილის სასამართლო პროცესთან დაკავშირებით? იურისტები ბევრ ხარვეზზე საუბრობენ.***

– აბსურდული პროცესები მიმდინარეობს, ამას არაფერი საერთო სამართალთან არა აქვს. პერიოდი, როდის ხდება დაკავება, ან როგორ ხდება, არამარტო ოქრუაშვილი, 20-მდე პირი დააკავეს.

პირადად მე ვესწრებოდი, რა მოხდა და როგორ მოხდა პარლამენტის წინ, როგორ დაიწყო ეს პროცესი. პატარა 5-6 წლის ბავშვებთან ერთად ვიყავი. ასე რომ, ყველაფერი ზუსტად ვიცი, რაც იქ მოხდა.

***– ანუ სახეზე გვაქვს პოლიტიკური დევნა?***

– დიახ, ასეა. იქ დასასჯელები იყვნენ პოლიციელები, დასასჯელი იყო ხელმძღვანელობა, ვინც ეს ბრძანება გასცა. პატარა ბავშვებით ვიდექით იქ ძალიან ბევრი ადამიანი მიტინგზე და პირდაპირ ჩვენი მიმართულებით ისროდნენ. დაწყების პროცესიც პირდაპირ დარღვევა იყო სახელმწიფოს მხრიდან. პოლიციის ძალები იქ კონფლიქტისთვის იყვნენ განლაგებული პერიმეტრს გარეთ.

***– რას გულისხმობთ?***

– ასე არ ხდება, ვისაც ესმის ეს თემები. ისინი განლაგდებოდნენ პერიმეტრს შიგნით წყლის ჭავლით და ვერავინ მოახერხებდა მიკარებასაც კი შენობაზე. თუმცა ეს ხალხი სპეციალურად გამოყოფილი იყო, წინა მხარეს განალაგეს, რომ აქციის მონაწილეებთან კონფლიქტი მომხდარიყო და შემდეგ ეს ძალადობა გაემართლებინათ.

***– საუბარია, რომ ჩვენებებში ერთი და იგივე პოლიციელი ფიგურირებს, რომ მხოლოდ ისინი არიან მოწმეები. ოქრუაშვილის შემთხვევაში რამდენად იყო აღმკვეთ ღონისძიებად დაპატიმრების შეფარდება აუცილებელი და თუნდაც სამაჯურით რატომ არ გამოუშვეს, როგორც ნიკა მელია?***

– სამაჯურიც კი არ არის აუცილებელი. რა უნდა დააშავოს? მოწმეებად პოლიციელები ჰყავთ და რას იზამს, პოლიციელებზე ზეგავლენას მოახდენს, გაიმეორებს პარლამენტზე შეტევას თუ რა საფრთხის შემცველია?! თანაც ოქრუაშვილი საზღვარგარეთ იყო და ჩამოვიდა.

***– სერიოზული კრიტიკაა იუსტიციის საბჭოს წევრების მიმართაც. გასაუბრებაზე მისული მოსამართლეების უმრავლესობას განათლების ძალიან დაბალი დონე აქვს.***

– გასაუბრების პროცესში მეც ბევრჯერ მიმიღია მონაწილეობა და რთულია, რომ გასაუბრებით ადამიანის ცოდნის დონე განსაზღვრო,



აქ მთავარი ეს არ არის, თუ დასჭირდა, იმ კანონსაც ისწავლის.

აქ მთავარია პრინციპები, რომლებიც უნდა გააჩნდეს მოსამართლეს და მოსამართლეთა ძალიან დიდ ნაწილს, ეს არ გააჩნია.

ბევრ მათგანს ვიცნობ და მათ პრინციპები არ გააჩნიათ. რაც უნდა კარგად ისწავლოს კანონები, ის იქნება ყოველთვის ვილაცის მორჩილი.

***– ანუ კლანი მართავს დღეს სასამართლოს?***

– კი ბატონო. მართავს აღარ ჰქვია. ეს კლანი მარტო სასამართლოში არ არის. სასამართლო, პარლამენტი, ესენი ყველაფერი ერთმანეთზე გადაბმულია. ეს ერთი ჯგუფია და ამ ნაძირალების ჯგუფმა ჩაიგდო ძალაუფლება ქვეყანაში.

პოლიტიკურ ხელისუფლებას, „ოცნების“ ერთ ნაწილს, რომელიც არის უუნარო, არ ესმის და საერთოდ წარმოდგენა არ აქვს, სასამართლო რა არის, ამით სარგებლობს მეორე ნაძირალა ნაწილი სასამართლოსი და ასე შეხმატკბილებულად ცხოვრობენ.

ხელისუფლებასაც აწყობს ეს პროცესი, რომ არ იყოს სასამართლო, რომ არავის არ ჰქონდეს მათ გარეშე სამართლის მიღების იმედი და რომ ისინი უნდა აკონტროლებდნენ, ვინ მიიღებს ამ ქვეყანაში სამართალს და ვინ არ მიიღებს.

სწორედ ასეთი ტიპის ადამიანებს არჩევენ დღეს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში!

***– ოქრუაშვილის და ხაზარაძის საქმეში პირდაპირ ბიძინა ივანიშვილის ინტერესი იკვეთება?***

– ამ ქვეყანაში ივანიშვილის გარეშე მართლა არაფერი წყდება. იმდენად უუნაროა და უცოდინარია ხელისუფლებაც, პარლამენტიც, რომ ამ ადამიანის ნების გარეშე არაფერი კეთდება. საწინააღმდეგო აზრის თქმის უნარიც კი არ გააჩნიათ. იმიტომ მივედით აქამდე, ერთი ადამიანის შეხედულებები წყვეტს, საქართველოს სტრუქტურები როგორ მოიქცნენ და რა გააკეთონ.



# „ევოლუშენ გეიმინგის“ 500 თანამშრომელი გაიფიცა

## „ვითხოვთ ხელფასების გაზრდას“

საშუამავლო კომპანიის თანამშრომლები გაიფიცნენ. 30 ივლისს საღამოს „ევოლუშენ გეიმინგის“ 500-მდე წარმომადგენელმა აქცია კომპანიის წინ გამართა.

ისინი ხელფასების 50%-ით მატებასა და გათავისუფლებული თანამშრომლების სამსახურში აღდგენას ითხოვენ. მათი თქმით, მზად არიან, კომპანიის ადმინისტრაციასთან დეტალები განიხილონ.

შეკრებილებს მხარდაჭერას უცხადებს გაერთიანებული პროფკავშირები.

აქცია გუშინ, 31 ივლისსაც, გაიმართა.

– წინასწარ გავაფრთხილეთ კომპანია, გავიფიცეთ. გვინდა, რომ ბავშვებს ხელფასები გაეზარდოთ. მენეჯერებმა თქვეს, რომ ვინც გარეთ გავა, იქნება გათავისუფლებული, მაგრამ დღეს ყველა აქაა, – ამბობს კომპანიის თანამშრომელი, გიორგი ბურჯანაძე.

„ევოლუშენ გემბლინგის“ მთავარი იურისტი გიორგი სოკოლოვსკი ამბობს, რომ კომპანია მზად არის ღია დიალოგისთვის. მისი თქმით, საკითხები, რომელთა გადაჭრასაც თანამშრომლები ითხოვენ, ცივილური გზით გადაწყდება.

აქციის მონაწილეები კი აცხადებენ, რომ მათი ყოფილი თანამშრომლები სამსახურიდან სწორედ ხელფასის გაზრდის თხოვნის შემდეგ გაუშვეს.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ესენი ვინ არიან, შევარდნაძე რომ სანატრელი გაგიხდება, რა!“

## შალვა ხაჭაპურიძე: „ოქრუაშვილის დაკავებით მისი პოლიტიკური რეაბილიტირება მოხდა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებთან დაკავშირებით იურისტი შალვა ხაჭაპურიძე პასუხობს.

***– ბატონო შალვა, სულ გვესმის შეფასებები, რომ ბოლო პერიოდში ხელისუფლება არაადეკვატურად იქცევა, შეცდომას შეცდომაზე უშვებს. დაიწყო პოლიტიკური რეპრესიები. ამას რით ხსნით, აღსასრულის მოახლოებას გრძნობენ?***

– 2012 წლის შემდეგ განსაკუთრებული აქტივობით არ გამოვირჩეოდი. ვხედავდი გარკვეულ ხარვეზებს, მაგრამ ნებისმიერი, თუნდაც მეგობრულად გამოთქმული კრიტიკაც კი, აღიქმებოდა საზოგადოებაში, როგორც ნაციონალების მხარდამჭერის მოსაზრება.

***– დიახ, მათივე სიტყვებით რომ ვთქვათ, თავიდანვე შუა გაკრიფეს, ან ნაცი უნდა ყოფილიყავი, ან ქოცი.***

– დიახ, ასე იყო და მეც გარკვეულწილად თავს ვიკავებდი, მაგრამ ამ გაჩუმებამ გამოიწვია ის, რომ მივიღეთ სერიოზული კატასტროფა. ეს არ ვიცი, რით დამთავრდება, ან როგორ მივალთ 2020-მდე.

***– სასამართლოში უმძიმესი სიტუაციაა. თქვენ ყოველდღიური შეხება გაქვთ სასამართლოსთან და იგივეს იტყვით?***

– სანამ სასამართლოზე გადავალთ, 20-21 ივნისის მოვლენებზეც გეტყვით ორიოდე სიტყვას. შეცდომაზე აპელირებს ხელისუფლება, მაგრამ ეს არ იყო შეცდომა, ეს განზრახ გაკეთებული ქმედება იყო. ქუცნაშვილი გაუშვეს ამის გამო, მაგრამ ის რიგითი შემსრულებელი იყო. ეს იყო მეთოდი, როგორ შეეჩვეოდა ხალხი გავრილოვის კობახიძის სავარძელში ჩაბრძანებას და თუ მარტივად გამოვიდოდნენ, ამას შემდეგ სხვა ქმედებები მოჰყვებოდა.

მერე რაც მოჰყვა ამას, ყველამ ვნახეთ. აქციაში მონაწილეებიდან 20 თუ 30 კაცია დაპატიმრებული და თურმე მხოლოდ ერთ პოლიციელს გადაუმეტებია ძალა. მე თავიდანვე გამოვთქვი აზრი, რომ საჭირო იყო დამოუკიდებელი საზოგადოებრივი კომისიის შექმნა. თუმცა ეს არ გაკეთდა და ხელისუფლებამ დაიწყო ხელის გადაგრეხის პრინციპის ამუშავება და უამრავი პოლიტიკური ფიგურაა დაპატიმრებული.

***– მათ შორისაა ირაკლი ოქრუაშვილი. ხელისუფლება აცხადებს, რომ 20-21 ივნისს უკავშირდება მისი დაკავება, თუმცა საპირისპირო შეფასებებიც გვესმის.***

– მინდა ვუთხრა ხელისუფლებას, რომ მან ოქრუაშვილს საკმაოდ სერიოზული პოლიტიკური პიარი ჩაუტარა, ის კი ვერ გათვალეს, რომ ოქრუაშვილის დაკავებით მისი პოლიტიკური რეაბილიტირება მოხდა. ამით ოქრუაშვილი უფრო გააძლიერეს.

***– ოქრუაშვილის დაპატიმრება მისმა გააქტიურებამ და მისმა განცხადებებმა განაპირობა, თორემ 20 ივნისიდან მთელი თვე იყო გასული, სად იყვნენ მანამდე?***

– რუსთავი 2-ს რომ უკავშირდება ოქრუაშვილის დაკავება, ეს ყველასთვის ცხადია. ქიბარ ხალვაშს რომ ეს დოკუმენტი ჰქონდა ხელმოწერილი ოქრუაშვილთან, ვინც ამ საქმესთან ოდნავ მაინც შეხებაში იყო, ეს ყველამ ვიცოდით.

***– ანუ თქვენც იცოდით ამ ხელმოწერის შესახებ და რომ ის გაყალბებული არ არის?***

– დიახ, ვიცოდი. გაყალბებული ნამდვილად არ არის, ახლა კი არა, რამდენი ხანია, ეს ვიცი. ქიბარ ხალვაშმა ნაცების დროს ვერ გაბედა, თორემ, მაშინაც იყო იდეა, რომ ევროპულ სასამართლოში შეტანილიყო საჩივარი, სადაც ქიბარი იტყოდა, რომ მისი იყო რუსთავი 2 და შემდეგ ოქრუაშვილი იტყოდა სიმართლეს, რომ მისი იყო, რადგან ნაცების დროს ამაზე საუბარს ვერ ბედავდა. საერთოდ ის 7 მილიონი, რომელიც ეროსი კიწმარიშვილს გადაუხადეს, ბიძინა ივანიშვილის მიცემული იყო. ამას თუ დეტალებში წავყვებით ჩვენ, ხომ ხვდებით, სად წავალთ.

***– სამხარაულის ბიუროში მომხდარმა სკანდალმაც გამოჟონა, მათაც დაადასტურეს, რომ ეს ხელმოწერა ყალბი არ არის. ამან გამოიყვანა ივანიშვილი მწყობრიდან და ამიტომ გასცა ოქრუაშვილის დაკავების ბრძანებაო.***

– კი, ეს გამჟღავნდა. სამხარაულის ექსპერტებს კარგად ვიცნობ. როგორც ჩანს, არ უნდოდათ გაყალბებაზე წასვლა. ყველამ ძალიან კარგად იცის, რომ ეს ხელისუფლება დღეებს ითვლის, ძალიან მალე შეიცვლება. ბავშვიც რომ გააჩეროთ, ისიც ამას გეტყვით, რომ ამ ხელისუფლების პერსპექტივა არის ნული.

### „ლარი 350 რომ გახდეს, გამოვა ეს ლენჩი ბახტაძე და გვეტყვის, პასუხისმგებლობას ვიღებთო“

და ეს ნაციონალების ბრალი კი არ არის, ეს არის ამ ხელისუფლების ბრალი! ბახტაძემ სადამდე უნდა იძახოს, რომ მიტინგების ბრალია ლარის გაუფასურება?! შეცდომას შეცდომაზე უშვებენ. აზრზე არ არიან, ისეთ განცხადებებს აკეთებენ.

***– თუკი მელია სამაჯურით გამოუშვეს, მაშინ ოქრუაშვილი რატომ დატოვეს პატიმრობაში, რა საფრთხეს წარმოადგენდა?***

– მაგათმა რა იფიქრეს, იცით? ოქრუაშვილმა ნაცების დროს ხომ უარყო თავისი განცხადებები. ახლა რომელიღაცა გენიოსმა იფიქრა, მოდი, დავიჭიროთ და ოქრუაშვილი უარყოფს რუსთავი 2-თან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებებსო. ეგონათ, რომ უარყოფდა ყველაფერს. ალბათ ევაჭრებიან კიდეც ამაზე ოქრუაშვილს, თუ გინდა, რომ გამოგიშვათ, ეს განცხადებები უარყავიო.

მე არ ვიცი, ოქრუაშვილი რას იზამს და იმედი მაქვს, რომ არ დათანხმდება და მიხვდება და ალბათ იცის, რომ ამათ არ უნდა ევაჭროს. იმდენი და ისეთი პოლიტიკური შეცდომები დაუშვა „ოცნებამ“, რომ მაგათთან ლაპარაკი არ შეიძლება. ამდენი დაპირებით რომ მოხვედით, მთელი 7 წელია ხელისუფლებაში ხართ. ამას ვიზამ, იმას ვიზამო, რატომ არაფერი ქენი, ხომ გაცალეთ? ვინ შეგიშალა ხელი?!

ამდენი ხანი გაჩუმებული ხომ ვიყავი, ხმა



### „მეც ნაციონალი ხომ არა ვარ, ეს დედანატირები?!“

არ ამომიღია, მითხარი, რა გააკეთე ამ 7 წელიწადში?! მეც ნაციონალი ხომ არა ვარ, ეს დედანატირები?! ხომ ხედავ, არაფრის გაკეთება შეგიძლია, ხოდა, წადი, ძმაო, სახლში და მოვა სხვა, ვინც გააკეთებს!

***– ანუ გარდაუვალია მათი წასვლა?***

– რას ლაპარაკობთ, არ წავლენ ნებით, გავუშვებთ ძალით! ერთხელ მომხდარა ეს თუ ორჯერ? ვერ ხვდება ნებით, მივახვედრებთ, სადაა კარი! ბახტაძეს და ზარდიაშვილს უნდა ვუყურო კიდევ ამდენი წელიწადი?! ხომ არ გადაირივნენ ეგენი!

***– ყოფილი მოსამართლე ბრძანდებით, აქტიური უფლებადამცველი, თქვენც ფიქრობთ, რომ ხაზარაძის და ოქრუაშვილის წინააღმდეგ წარმოებული პროცესები მათ პოლიტიკურ დევნას უკავშირდება? როგორც კი განცხადება გააკეთა ხაზარაძემ, რომ ის ქმნის პოლიტიკურ მოძრაობას, მაშინვე გააქტიურდა პროკურატურაც, ცოტა შენიღბონ მაინც საკუთარი ქმედება.***

– ვერ ნიღბავენ და რატომ, ამასაც გეტყვით. როგორც ჩანს, ბიძინა ივანიშვილის მართვის სტილი არის ერთპიროვნული.

შევარდნაძეს ჰქონდა მართვის როგორი სტილი, იცით? ის ირგვლივ იკრეფდა ჭკვიანებს, უსმენდა ყველას და მერე თვითონ იღებდა გადაწყვეტილებებს. ვიღაცის პოზიციას იზიარებდა, ვიღაცისას არა. იქაც პიროვნებაზე მორგებული მართვის სტილი იყო, ცუდი იყო და გეთანხმებით, დასანგრევი იყო.

სააკაშვილიც ვიღაცის აზრს ისმენდა, ვიღაცისას არა, ისიც ცუდი იყო და ისიც დასანგრევი იყო.

ჩვენ გვეგონა, რომ ბიძინა მაგიტომ იყო მაგარი, რომ ინსტიტუციების მმართველობას ქადაგებდა, მაგრამ არა, ბიძინასაც იგივე მართვის სტილი აქვს, როგორც მის წინამორბედებს. მაგრამ რა განსხვავებაა, იცით?!

***– რა?***

– შევარდნაძეს ძალიან ჭკვიანი ხალხი ჰყავდა გარშემო. ავიღოთ კობა ნარჩემაშვილი, სულხან მოლაშვილი, რომელიც დღემდე გულზე ადგას ნაციონალების რეჟიმს და ვერ მოინელა, მიუხედავად იმისა, რომ მოკლა წამებით. ამ ხალხზე ვერ იტყვი, რაც უნდა არ მოგწონდეს, რომ უჭკუო ხალხი იყო. სააკაშვილი როგორც უნდა მძულდეს, ადეიშვილზე როგორ ვიტყვი, რომ შტერი იყო. თავად ბიძინამ თქვა, მაგრები იყვნენ ადეიშვილი და მერაბიშვილიო, მან თქვა, მე ხომ არ მითქვამს!

***– თვითონ ვინ ჰყავს გარშემო?***

– მეც მანდ ვარ! ბიჭო, ბახტაძე რომ გყავს პრემიერ-მინისტრად და უდიპლომო გენერალური პროკურორი რომ გყავს, ამნაირი რამ დედამიწის ზურგზე არ გამიგონია! სულ დებილები რომ გყავს გარშემო, დებილი ვერ მოგიტანს ვერაფერს, ვერაფერს ჭკვიანურს ვერ გეტყვის!

ახლა ეს უდიპლომო გენერალური პროკურორი უნდათ, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ გაათრიონ. დედამიწის ზურგზე ასეთი რამ არ მომხდარა, ისეთ რამეს აკეთებენ.

კუბლაშვილი მომწონდა თუ არ მომწონდა, მეცნიერი მაინც იყო! უდიპლომო კაცი რანაირად დასვეს გენერალურ პროკურორად და რანაირად უნდა დასვა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ?! კაცმა იმ დროს ჩააბარა უნივერსიტეტში, როცა არ არსებობდა ეს უნივერსიტეტი. სულ დებილები ჰყავს გარშემო. ერთადერთი ჰყავს გახარია, რომელიც ამათთან შედარებით უკეთესია და ამიტომ იძახიან „ოცნების“ წევრები, გახარია რომ წავიდეს, ქვეყანა დაგვექცევაო. ღმერთმა კარგად ამყოფოს და, რომ მოკვდეს ეს გახარია, მერე რას აპირებენ?!

***– როგორი პირი უჩანს, წავლენ 2020 წელს?***

– ეს როგორი მთავრობაა, იცით? თუ ძალით არ გაუშვი, 2020-შიც იქნებიან და 4020-შიც. მოხდება რაღაც, პასუხისმგებლობას ვიღებთ, გპასუხობენ და ბოდიშებს იხდიან. ლარი თუნდაც გახდეს 350, გამოვა ეს ლენჩი ბახტაძე და გვეტყვის, პასუხისმგებლობას ვიღებთო. ოღონდ სახლში არ გაუშვა და ყველაფერზე აიღებენ პასუხისმგებლობას.

***– ანუ არსად წავლენ?***

– თუ ძალით არ გავუშვით, ესენი საკუთარი ნებით არსად წამსვლელები არ არიან. ისიც არ იციან, პასუხისმგებლობის აღება რას ნიშნავს. გახარიამ რომ აიღო პასუხისმგებლობა, პასუხისმგებლობას რომ იღებ, უნდა გადადგე!

თავის ჩადენილ დანაშაულს იძიებენ თვითონვე, ამნაირი არ მინახია არაფერი! ყველაფერზე პასუხისმგებლობას იღებენ და არსად მიდიან.

რა, ლარი რომ გაუფასურდებოდა, არ იცოდნენ?! პირველივე დღიდან, როგორც კი 2012 წელი დადგა, უამრავი ინვესტორი შემოდიოდა, მილიარდერები. თვეობით სვამდნენ ამ ხალხს სასტუმროში და გადაწყვეტილებას ვერ იღებდა ვერც ერთი მინისტრი. ასეთი ფრაზა დადიოდა მაშინ მინისტრებს შორის – ინიციატივა დასჯადია, არ უყვარს ბიძინას ინიციატივაო.

აქამდე რომ მივიდოდნენ, არ იცოდნენ?! რა შუაშია მიტინგი და ლარი ერთმანეთთან?! 30 წელიწადია მიტინგები გვაქვს და მაშინ ლარი საერთოდ არ უნდა გვქონდეს!

ესენი ვინ არიან, შევარდნაძე რომ სანატრელი გაგიხდება, რა! იძახონ ახლა, ნაციონალიო, ერთი რომელიმემ გაბედოს და დამიძახოს ნაციონალი, ან მკითხოს, რას აკეთებდი მანამდეო და მე ვანახებ, სად ვიყავი და რას ვაკეთებდი!

# „საფრანგეთის ციხეში პაატა ახალაძე ტუბერკულოზით მოკლეს“

## კახა აბუაშვილი: „ცოლი დაუჭირეს, შვილები მარტო დაუტოვეს, ავადმყოფი მამა და დედა მარტო დაუტოვეს“

– ქუჩაში კოჭლ ძაღლს რომ პოულობენ, მიჰყავთ და წამალს უკეთებენ, საფრანგეთის ციხეში კი ბიჭი ტუბერკულოზით მოკლეს.

ამის შესახებ საფრანგეთში მცხოვრებმა ქართველმა მსახიობმა, კახა აბუაშვილმა (კაბუ) „პალიტრანიუსის“ გადაცემა „ნიუსრუმში“, საფრანგეთის ციხეებში საქართველოს მოქალაქეების მდგომარეობაზე საუბრისას განაცხადა.

როგორც მან აღნიშნა, საფრანგეთის ციხეში ბევრი მოქალაქეა ისეთი, ვინც ცუდ ყოფაშია და დახმარება სჭირდება.

– მივმართავ მათ, ვისაც ეკუთვნის, რომ საქართველოს მოქალაქეებს მიხედონ, თუნდაც ციხეში მყოფებს. ვიღაცას მიაწვდინეთ ხმა, რომ აქ რაღაცნაირად მოგვეხმარონ, პასპორტი ხომ გვაქვს ქართული, ხალხო, იქ ძალიან ბევრი ხალხია, ვისაც უჭირს. მივიდნენ, იკითხონ.

ამ ბიჭს აღარაფერი ეშველება, სამწუხაროდ, მაგრამ ვიღაცა იქნებ გადარჩეს. ციხეში არ აქცევდნენ ყურადღებას ადამიანებს, რომლებიც იყვნენ ძალიან ცუდად და საბოლოოდ, ეს ადამიანი, რომელიც იყო ჩემი ოჯახის წევრი, უახლოესი ადამიანი, ჩემი ძმაც იყო და ყველაფერი, გარდაიცვალა.

პაატა ახალაძეზე მაქვს საუბარი, რომელიც მოკლეს ტუბერკულოზით. 21-ე საუკუნეში, ადამიანებო, 21-ე საუკუნეში ადამიანი გარდაიცვალა ტუბერკულოზით.

კახა აბუაშვილის თქმით, პაატა ახალაძე იყო აბსოლუტურად უდანაშაულო ადამიანი.

– იქ ვინც სხედან, რამდენი ადამიანი უნდა გარდაიცვალოს, რომ დავუმტკიცოთ ამ ხალხს, რომ სულ ტყუილად ვიჯექით და სულ ტყუილად ვზივართ და სულ ტყუილად გვაყენებენ შეურაცხყოფებს?! რამდენი ადამიანი უნდა დაგვხოცოთ.

აქ ძაღლებს აქცევენ ყურადღებას, ქუჩაში რომ პოულობენ კოჭლ ძაღლს, მიჰყავთ და წამალს უკეთებენ. საფრანგეთის ციხეში ბიჭი მოკვდა ტუბერკულოზით. ეს ბიჭი აბსოლუტურად ჯანმრთელი შევიდა ციხეში. ნერვიულობით დაემართა, იმიტომ, რომ ცოლი დაუჭირეს, შვილები მარტო დაუტოვეს, ავადმყოფი მამა და დედა მარტო დაუტოვეს, – განაცხადა კახა აბუაშვილმა.

წამყვანის კითხვაზე, მოახერხა თუ არა აბუაშვილმა რესოციალიზება მას შემდეგ, რაც დატოვა საფრანგეთის ციხე, მან ასე უპასუხა:

– დიდად რთული არ იყო შეგუება თავისუფლებასთან.

კაბუ აპირებს საქართველოში დაბრუნებას, მაგრამ გამოძიების დასრულებამდე ქვეყნიდან არ უშვებენ.



შეგახსენებთ, კაბუ ქურდობის ბრალდებით საფრანგეთში 2018 წლის 18 აპრილს დააკავეს. მაშინ სპეცოპერაცია ევროპის ორ ქვეყანაში ჩატარდა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, დაკავებულებს შორის იყო 4 ქართველი კანონიერი ქურდი, მათ შორის ლაშა შუშანაშვილი.

ამასთან, დაკავებულები იყვნენ სხვადასხვა სიმძიმის დანაშაულში ბრალდებული საქართველოს მოქალაქეები, მათ შორის – კახა აბუაშვილი.

იგი სასჯელს საფრანგეთის ციხეში იხდიდა.

# პოლიციის უფროსმა მაკო გომურს შეაგინა და აქციის მონაწილეს სცემა

გურიის პოლიციის დეპარტამენტის ბახვის პოლიციის უფროსმა, მამუკა ჯანანაშვილმა მაკო გომურს დედა შეაგინა და 20 ივნისის ღამის დაზარალებულის გამოსარჩლებისათვის აქციის მონაწილე გიორგი დიასამიძეს სცემა.

ინციდენტი 30 ივლისს, გვიან ღამით შეკვეთილში, ივანიშვილის რეზიდენციის წინ მიმდინარე აქციაზე მოხდა.

– რა უნდოდა, მა დედა... რას მოეთრეოდა აქციაზე, თვალიც ექნებოდა და ფეხიც, – გაიძახოდა ხმამაღლა შეკვეთილის აქციის მიმდინარეობისას ჯანანაშვილი.

მანვე აქციის ერთ-ერთ მონაწილეს, გიორგი დიასამიძეს, გომურის გამოსარჩლების გამო, ხელი სახეში რამდენჯერმე დაარტყა.

ბახვის პოლიციის დეპარტამენტში მისულ „გურიის მოამბეს“ ჯანანაშვილი ადგილზე არ დახვდა. ჟურნალისტს უთხრეს, რომ ტელე-



ფონით დაუკავშირდებოდნენ და პასუხს აცნობებდნენ.

რამდენიმე წუთის შემდეგ კი ერთ-ერთმა პოლიციელმა „გურიის მოამბეს“ უთხრა, რომ ჯანანაშვილი გორში, საკუთარ სახლში იმყოფებოდა და უკან დაბრუნებისთანავე გააკეთებდა მომხდარზე კომენტარს.

**გურიის მოამბე**

**შევიძენ**
ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ: 598-43-98-57

# ანზორ აბრალავა: „პოლიტიკურ რეპრესიებს ვერ ვხედავ“

მარიამ მჭედლიშვილი

ქვეყანაში მიმდინარე მძიმე პროცესებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს ანზორ აბრალავას.

***– ლარის კურსი დოლართან მიმართებაში რეკორდულად დაეცა. ხელისუფლება ამას სხვებს აბრალებს. ლარი ჯერ კიდევ მაშინ უფასურდებოდა, როცა გავრილოვს არავინ ახსენებდა. ამაში ხელისუფლებას ბრალი არ მიუძღვის?***

– როგორ არ მიუძღვის! ლარის გაუფასურებაზე, პირველ რიგში, პასუხისმგებელია ეროვნული ბანკი. მან უნდა გაატაროს ზომები ამის წინააღმდეგ. ეროვნულმა ბანკმა ხალხს გასაგები განმარტებები უნდა მისცეს, რას აპირებს და არა ზოგადი ფრაზები თქვას. ამაზეა დამოკიდებული ადამიანების ბედი და პერსპექტივა. ეროვნულმა ბანკმა საზოგადოება სხვაზე არ უნდა გადაამისამართოს.

***– როგორც ჩანს, ეროვნული ბანკი ზომების მიღებას არ აპირებს.***

– არ აპირებს და ეს იწვევს საშინელ, ანტისახელმწიფოებრივ განწყობებს მოსახლეობაში. ხალხი ისედაც განიცდის გაჭირვებას. თუ ამას დაემატება ნიჰილიზმი და დაუცველობის შეგრძნება, ამასთან გამკლავება ურთულესი იქნება.

ხელისუფლება პასუხისმგებელია იმაზე, რაც ემართება ლარს. რა თქმა უნდა, ეს არ ამართლებს იმ ოპოზიციის გაუმართლებელ ქმედებებს, რომელიც აზიანებს სახელმწიფოებრიობას და მათ შორის, ლარის კურსის სიმყარესაც.

***– ბოლო დროს ხელისუფლებას ოპონენტების დევნასა და პოლიტიკურ რეპრესიებში სდებენ ბრალს.***

– პოლიტიკურ რეპრესიებს ვერ ვხედავ, თუმცა, შესაძლოა, 20-21 ივნისის ამბების გამო დაკავებულებში, თითო-ოროლა უდანაშაულო ადამიანი ერიოს. იმ ღამეს იქ პოლიტიკისგან შორს მყოფი აღშფოთებული ადამიანებიც მივიდნენ. ისინი სახელმწიფო გადატრიალებას და ვარდების რევოლუცია-2-ს არ გეგმავდნენ. ამავეს ვერ ვიტყვი პოლიტიკური ლიდერების უმრავლესობაზე და ორგანიზებულ ჯგუფებზე.

***– გინდათ თქვათ, რომ იმ ღამეს ისინი რევოლუციას აპირებდნენ?***

– ეს უნდოდა რუსეთს და მის დამქაშებს. გავრილოვს ამ სცენარში თავისი როლი ეკავა. მან თავისი მისია შეასრულა. ნაცმოძრაობას და იმ პოლიტიკურ ლიდერებს, რომლებიც ამჟამად სხვა მოძრაობებში არიან, 2003 წლის გამოცდილება დაუგროვდათ. მათ მაშინ სახელმწიფო გადატრიალება მოაწყვეს. შევარდნაძესთან ყოველთვის დაპირისპირებული ვიყავი, მაგრამ ვამბობ, რომ 2003-ში მისი ძალით გაშვება საჭირო არ იყო. შევარდნაძე ისედაც წავიდოდა. მას ცოტა ჰქონდა დარჩენილი. მაშინდელი გადატრიალებით მივიღეთ ახალი შევარდნაძეები. ეს იყო რუსული სცენარი.



***– ირაკლი ოქრუაშვილის დაკავება მასობრივი არეულობის ორგანიზების მუხლით მის ოპონენტებსაც აოცებს. მის დაკავებას პოლიტიკურ რეპრესიებს უკავშირებენ.***

– არა. ის რეპრესიების მსხვერპლი კი არა, თავისი ამბიციების და ავანტიურის მსხვერპლია. საერთოდ, ირაკლი ოქრუაშვილი ჩავლილი მატარებელია. მას ჰგონია, რომ იმ ბრალდებებს, რომლებიც მის მიმართ არსებობს, ხანდაზმულობის ვადა გაუვიდა. მას უნდა პოლიტიკური ლიდერობა, მაგრამ ის ლიდერი ვერ გახდა. იმ ღამეს რუსთაველზე ბევრი ხალხი შეიკრიბა. პატარა აქციები დღემდე გრძელდება. თანდათან ადამიანებმა გაიაზრეს, რა ხდება რუსთაველზე.

***– თქვენი ხედვით, რა ხდება?***

– ხალხი მიხვდა, რომ ეს პოლიტიკური თამაშებია. ვინც ამ მიტინგებს შემორჩა, იქიდან ყველა პოლიტიკურად ნეიტრალური არ არის, ზოგს კი კარიერისტული მიზნები აქვს.

***– ამასობაში „ქართული ოცნების“ რეიტინგი ნულს მიუახლოვდა.***

– ხელისუფლებამ ხალხზე უნდა იზრუნოს, ლარის კურსს, ეკონომიკას მიხედოს, სწორი ეკონომიკური პოლიტიკა გაატაროს. რაც შეეხება რევოლუციებს, თუ ასეთი მცდელობა კიდევ იქნა, ხელისუფლებამ სწორად უნდა იმოქმედოს და ის ნორმალური მეთოდებით აღკვეთოს. საგარეო პოლიტიკაც გამოსასწორებელია. ძალიან მძიმეა რუსეთთან დალაპარაკება, მაგრამ ეს ნაბიჯი გადასადგმელია.

***– აქამდე, ჟენევის ფორმატის გარდა, ტარდებოდა აბაშიძე-კარასინის მოლაპარაკებები. კარასინი ფედერაციის საბჭოში გადადის. მის შემცვლელად სამი კანდიდატურა განიხილება. ერთ-ერთი მათგანი, ივან ვოლინკინი, 2007 წელს საქართველოდან ჯაშუშობისთვის გააძევეს.***

– კარასინი მიდის, მაგრამ ეს მოლაპარაკებები უნდა გაგრძელდეს და გაფართოვდეს. მიმაჩნია, რომ ზურაბ აბაშიძეს სტატუსი უნდა აუმაღლონ. მაგალითად, საგარეო მინისტრის მოადგილედ დანიშნონ. რუსეთის მხრიდან მაინცდამაინც პერსონა ნონ გრატა არ უნდა დანიშნონ აბაშიძის პარტნიორად. ეს უნდა იყოს მისაღები დიპლომატი.

მოლაპარაკებები მტრულ სახელმწიფოებსაც აქვთ ერთმანეთთან. ჩვენთვის უპირველესი პრობლემაა ტერიტორიული მთლიანობა. სხვა საკითხები, პოლიტიკური იქნება, ეკონომიკური თუ კულტურული, ამასთან არის დაკავშირებული. რუსეთთან რთულია ლაპარაკი, მაგრამ სხვა გზა არ დაგვრჩენია. ისტორიამ უამრავი მაგალითი იცის, რომ სახელმწიფოებს უხდებოდათ დიალოგი მძიმე დროს. მაგალითად, გერმანიას უჭირდა კაპიტულაცია 1918 წელს და სხვა. ხელისუფლება არ უნდა იყოს მყვირალა ჯგუფების მძევალი.

***– რომელ ჯგუფებზე საუბრობთ?***

– ნაცმოძრაობაზე, მის მედიაზე. სააკაშვილის ბიძა ზის მოსკოვში, სააკაშვილიც რუსეთის დავალებებს ასრულებს. ამავე დროს ეგენი აყვირებენ მომხრეებს, რომ მოსკოვთან დიალოგი არ შეიძლება. არ შეიძლება კი არა, საჭიროა!

უნდა გაფართოვდეს აბაშიძის ფორმატი, რომელიც პოლიტიკურ თემებსაც განიხილავს. სასურველია ასევე დიალოგი უმაღლეს დონეზე. ამდენი პრობლემა იმიტომ დაგვიგროვდა, რომ მასების ამბოხი გვაქვს და პოლიტიკა უწიგნური ადამიანებით გაივსო.

# ჯემალ გამახარია: „გარუსება-გააფხაზება გალის რაიონში მოსალოდნელი არ არის“



გულიკო ბალაძე

რამდენადაა შესაძლებელი გალის რაიონში ქართველების გარუსება-გააფხაზება? რამდენ ხანს გასტანს ოკუპაცია? რას ნიშნავს ქართველისთვის ოკუპირებულ აფხაზეთში ქართული პასპორტი?

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ჯემალ გამახარია „ახალი თაობის“ კითხვებს პასუხობს.

***– ბატონო ჯემალ, ითქვა, რომ აფხაზეთში 400-მა ქართველმა გვარი გადაიკეთა აფხაზურად. ეროვნება რა ჩაიწერა, არ თქმულა. რა პროცესი მიმდინარეობს ოკუპირებულ ტერიტორიაზე? არის თუ არა ეს ძალადობრივი პროცესი?***

– სამწუხაროდ, ოკუპირებულ აფხაზეთში გვარების გადაკეთება ძალადობრივი პროცესია, რომელიც იმ პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია, რასაც ოკუპანტი ქვეყანა გალის რაიონის ტერიტორიაზე აწარმოებს. ეს არის ადამიანის უფლებების ტოტალური დარღვევა ყველა მიმართულებით, რომლის მიზანია გალის რაიონიდან ლტოლვილი მოსახლეობის განდევნა, ან ასიმილაცია. ამ არჩევანის წინაშე არიან დღეს ქართველები გალის რაიონში.

აფხაზ ეთნოსში უმეტესობა ქართული წარმოშობის გვარებს ატარებს. გალის რაიონში არიან ადამიანები, რომლებსაც აქვთ აფხაზური წარმოშობის გვარები. ეს ბუნებრივი პროცესია. ამაში ახალი არაფერია. საუკუნეების განმავლობაში ეს თავისთავად ხდებოდა. ამას არიან გამოკიდებული და ასეთი გვარების მატარებელ (მაგალითად, ზუხბაია, ანჩაბაძე) ადამიანებს აიძულებენ, რომ გვარები შეიცვალონ.

გვარების შეცვლა თავისთავად მათთვის ეროვნების შეცვლას ნიშნავს, მაგრამ მე ვიცნობ არაერთ ადამიანს, რომელმაც გვარი შეიცვალა, მაგრამ ამით მას ეროვნება არ შეუცვლია.

***– რამდენადაც ვიცი, ანჩაბაძეები აფხაზობენ. როგორ უნდა გადაიკეთონ გვარი? მაგალითად, ანჩაბაძე აფხაზურად როგორ იქნება?***

– აჩბა, ან უბრალოდ ჩაწერს, ანჩაბაძე ვარ აფხაზი. თუმცა, პასპორტში ჩანაწერის გაკეთებით, ეროვნების შეცვლა არანაირად არ მოხდება. ეს ხომ არ არის პროცესი, რომელიც გუშინ დაიწყო, საუკუნეების განმავლობაში მიდის. ამ ადამიანებს ქართული ცნობიერება აქვთ. მის გადაკეთებას ასევე საუკუნეები სჭირდება. მით უმეტეს, ის გვარები აფხაზურად რომ გადააკეთო, ფაქტობრივად, არაფერს გაძლევს.

აფხაზი არის გარუსებული ადამიანი, რომელსაც აფხაზურ ენაზეც შეუძლია მეტყველება, მაგრამ რუსული ფსიქოლოგიის და რუსული მენტალიტეტისაა. ამიტომ გარუსება-გააფხაზება გალის რაიონში მოსალოდნელი ნამდვილად არ არის. შეიძლება ერთეულები, ან ვთქვათ, ათეულები ამას დაეთანხმონ და ეროვნებაც შეიცვალონ, მაგრამ მასობრივ ხასიათს ეს არ მიიღებს.

***– აბა, სად არის მოსალოდნელი გარუსება, გალის იქით?***

– გალის იქით გარუსება მომხდარია, მაგრამ გალის რაიონში ამის გაკეთებას საუკუნეები სჭირდება. ყველა დარწმუნებული ვართ, რომ საუკუნეების განმავლობაში ოკუპაცია ვერ გაგრძელდება და არ გაგრძელდება. იმ ყველაფერს, რაც ოკუპანტებმა და სეპარატისტებმა გააკეთეს, ერთ დღეში ხაზი გადაესმება. ტყუილად ირჯებიან.

მე მქონდა კომუნიკაცია რამდენიმე პიროვნებასთან, რომელიც იძულებული გახდა, გვარი გადაეკეთებინა. როცა ვეკითხებოდი, ისინი მახსენებდნენ საბჭოთა პერიოდს, როცა პურისა და კარაქის ტალონები იყო. კარაქის ტალონები თქვენ გემახსოვრებათ.

***– პურის ტალონები არა, მაგრამ კარაქის ტალონები მახსოვს.***

– სწორედ კარაქისა და პურის ტალონია მათთვის ის ე.წ. აფხაზური პასპორტი, რომელსაც აფხაზეთის ფარგლებს გარეთ არანაირი ძალა არ გააჩნია. ეს ყველაფერი დროებითია და ოკუპაციასთან ერთად დასრულდება.

***– ყოველ შემთხვევაში, პროცესი დაწყებულია და ღრმავდება იმის მიხედვით, რა ურთიერთობები ექნება რუსეთს საქართველოსთან. ბოლოდროინდელმა მოვლენებმა, გავრილოვის პროვოკაციამ და თანმდევმა მოვლენებმა, როგორც ჩანს, რუსეთი გააღიზიანა და ჩვენთვის მტკივნეული ინფორმაციაც გაავრცელეს. საინტერესოა, 400-მა კაცმა ბოლო 1 თვეში შეიცვალა გვარი?***

– ვერ ვიტყვი, რომ რაღაც დიდი პროცესია დაწყებული, რომელსაც რაღაც სერიოზული პროცესები მოჰყვება. აფხაზეთისთვის შეიძლება საუბარი იყოს ერთეულებზე, რომლებმაც გულწრფელად გადაიკეთეს გვარი. ასეთები ერთეულები იქნებიან, მაგრამ 400 კაცი არ იქნება. შარშან საუბარი იყო 30 თუ 35 ადამიანზე. ახლა ამბობენ, 400-მა შეიცვალა და კიდევ 900 განცხადება გვიდევსო, რაც გადაჭარბებულია.

ამ ყველაფერს წინასაარჩევნო დანიშნულება აქვს. მოგეხსენებათ, 2013-2014 წლიდან დაიწყო საშინელი კამპანია გალის რაიონში პასპორტიზაციის წინააღმდეგ, რომელსაც მაშინ ოპოზიციის ლიდერი ხაჯიმბა ედგა სათავეში. ხაჯიმბა ამბობდა, რომ ანქვაბმა საშინელი რაღაც განხორციელდა. პასპორტის აღება ნიშნავს იმას, რომ არჩევნებში მონაწილეობ. პასპორტს ჩამოგართმევენ, არჩევნებში ვერ მონაწილეობ.

ისინი ანქვაბს ადანაშაულებდნენ, ქართველების ხმებით გაიმარჯვაო. მისი გადაყენების ერთ-ერთი მიზეზი, ფაქტობრივად, ეს გახდა. ამის შემდეგ ქართველებს პასპორტები ჩამოართვეს და ყველა მიმართულებით ქართული მოსახლეობის საშინელი დევნა-შევიწროება-დისკრიმინაცია დაიწყო.

ახლა, აქედან გამომდინარე, ხაჯიმბა ეუბნება თავის ამომრჩევლებს, ხომ ხედავთ, ამან რა კარგი შედეგი გამოიღო, გალის რაიონში დაიწყო აფხაზური გვარების აღდგენა, გალის რაიონი ჩვენსკენ შემობრუნდა – ახლა აფხაზურ ეროვნებას იბრუნებენ კანონიერად (მათი კანონებიდან გამომდინარე), პასპორტებს ღებულობენო და ა.შ.

ამიტომ ეს ყველაფერი წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილად მიმაჩნია, რომელიც, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ცოტა ხანში საპნის ბუშტივით გასკდება.

***– ამ ყველაფრის ავტორი რუსეთია. ზემოთ გავრილოვის პროვოკაციის გავლენაზე ვსაუბრობდი და ერთი რამ გამახსენდა. როგორც ვიცი, თქვენც ესწრებოდით იმ ღონისძიებას, რომელიც პარლამენტამდე ავლაბრის სასახლეში ჩატარდა. პროტესტის ნიშნად გავრილოვთან და მის დელეგაციასთან შეხვედრა რატომ არ დატოვეთ?***

– მე გავრილოვთან შეხვედრაზე არსად ვყოფილვარ. მე ვესწრებოდი საპარლამენტთაშორისო ასამბლეის გახსნას. ეს არ იყო ვინმესთან შეხვედრა. მით უმეტეს, გავრილოვთან. მე იმ ასამბლეის გახსნასა და გახსნის საზეიმო ნაწილს ვესწრებოდი, მორჩა და გათავდა. რატომ უნდა დამეტოვებინა?

***– პროტესტი რატომ არ გამოთქვაო, სხვებსაც აინტერესებთ.***

– რუსებს ჩვენ აქ ყოველდღე ვხედავთ. ოფიციალური რუსული დელეგაცია ბევრჯერ ჩამოსულა საქართველოში 2019-ში, 2018-ში, 2017-ში და უფრო ადრეც. შეიძლება ხვალაც და ზეგაც ჩამოვიდნენ. ეს არ არის რაღაც უბედურება. ასეთი კონტაქტები ხდება.

***– აბა, რა არის უბედურება?***

– აქ პრობლემა იყო და არის ის, რომ გავრილოვი პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში ჩაჯდა. ამან გამოიწვია მოსახლეობის აღშფოთება. მე მათ არ შევხვედრივარ, ხელი არ ჩამომირთმევია, არ მისაუბრია. უბრალოდ, ერთ დარბაზში ვიმყოფებოდით 24 ქვეყნის დელეგაციასთან ერთად.

ჩვენი დელეგაციაც სხვადასხვა საერთაშორისო ფორუმებზე რუსულ დელეგაციასთან ერთად ზის. საკითხის ასე დაყენება არასწორია.

***– უკრაინის ელჩმა პროტესტის ნიშნად დატოვა ის სესია.***

– უკრაინის ელჩმა სესია იმიტომ დატოვა, რომ რუსებმა ისაუბრეს იმაზე, თუ როგორ ილახება მართლმადიდებლების უფლებები უკრაინაში. ამიტომ უკრაინის ელჩმა დემარში განახორციელა, რაც გასაგებია.

***– ახლა სოხუმის აეროპორტის თემა წამოწიეს, რომელიც როსტოვის საჰაერო სივრცეში გააერთიანეს. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განმარტებით, ამ აეროპორტით საერთაშორისო ფრენებს ვერ განახორციელებენ. რუსების მიზანი რა არის?***

– ესეც წინასაარჩევნო პროპაგანდის ნაწილია. ვინც ოდნავ მაინც არის ჩახედული საერთაშორისო სამართალში, მან კარგად იცის, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, რომელსაც მთელი მსოფლიო საქართველოს ნაწილად ცნობს, ფრენების განხორციელება შეუძლებელია.

პირველსავე დღეს, როდესაც ამის შესახებ გაცხადდა, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ გააკეთა განცხადება, სადაც ყველაფერი დეტალურადაა განმარტებული. ამას დაემატა საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება 29 ივლისს. 30 ივლისსაც გაკეთდა ბატონ ლაშა დარსალიას განცხადება ამასთან დაკავშირებით.

ამ განცხადებებში დეტალურადაა განმარტებული, რატომ არის შეუძლებელი სოხუმის აეროპორტში საერთაშორისო ფრენების განხორციელება.

***– რუსეთი შიდა ფრენებს ვერ განახორციელებს?***

– რუსეთს, რა თქმა უნდა, შეუძლია შიდა ფრენების განხორციელება. ყოფილა შემთხვევები, როდესაც რუსეთმა სოხუმის აეროპორტი გამოიყენა. განსაკუთრებით, ეს იყო 2008 წლის ომის პერიოდში, როდესაც რუსეთის სამხედრო თვითმფრინავები ჯდებოდნენ ამ აეროპორტში. მათ მედესანტეები სწორედ ამ აეროპორტით ჩამოიყვანეს. ტექნიკა ამ აეროპორტში ჩამოტვირთეს. ეს ყველაფერი საჰაერო საშუალებებით განახორციელეს. ერთხელ ლავროვიც ჩამოფრინდა ამ აეროპორტში და გაფრინდა ამ აეროპორტიდან.

იმ რუსულ კომპანიას, რომელიც ასეთ ფრენებს განახორციელებს, სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციიდან (იკაო) ჯარიმები ემუქრება და მთელი რიგი შეზღუდვები უწესდება. ის შემდეგ საერთაშორისო ფრენებს ვერ განახორციელებს.

***– საქართველომ საერთაშორისო სასამართლოში რუსეთს რომ უჩივლოს?***

– ჩივილიც შეიძლება, მაგრამ ჯერ იკაომ უნდა იმოქმედოს, რომლის ნებართვის გარეშე საერთაშორისო ფრენების განხორციელება შეუძლებელია. იკაო ანიჭებს აეროპორტს ადგილმდებარეობის განმსაზღვრელ ოთხნიშნა კოდს. სოხუმის აეროპორტს ასეთი კოდი არ გააჩნია. როსტოვი რას მიანიჭებს, ამას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. სოხუმის აეროპორტს არ გააჩნია სერთიფიკატი, რომელიც ასევე იკაომ უნდა გასცეს. ამიტომ საერთაშორისო ფრენები შეუძლებელია.

თუმცა, შეიძლება აეროპორტი რუსეთმა მოამზადოს და მერე საჭიროებისამებრ სამხედრო მიზნებისთვის გამოიყენოს, როგორც ერთხელ უკვე გამოიყენა.

***– რუსეთი არავის ერიდება. ამერიკასაც ეჭიდავება და აეროპორტის აღდგენა რა არის მისთვის. ამჯერად, რისთვის შეიძლება სჭირდებოდეს რუსეთს ამ აეროპორტის ამოქმედება?***

– რუსეთის ამ აეროპორტის ამოქმედება და კიდევ ბევრი სხვა ნაბიჯი, რომელიც მან გადადგა აფხაზეთთან დაკავშირებით, მიმართულია იქითკენ, რომ ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ მოახდინოს აფხაზეთის ინკორპორაცია, მისი ინტეგრაცია რუსულ სივრცეში პოლიტიკურად, ეკონომიკურად და ყველა თვალსაზრისით. აეროპორტის აღდგენა ამ პოლიტიკის ნაწილი გახლავთ. აფხაზეთის ტერიტორიის მცოცავი ანექსიის პროცესი მიმდინარეობს. ეს არის ერთ-ერთი ნაბიჯი ამ პროცესში.

***– ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ საერთაშორისო ბერკეტებით შევეწინააღმდეგოთ.***

– ჩვენ წინააღმდეგობის გაწევა, ერთადერთი, სწორედ საერთაშორისო სამართალზე დაყრდნობით, საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით შეგვიძლია. საერთაშორისო სამართალი იმდენად მკაცრად არეგულირებს საერთაშორისო ფრენებს, რომ მისი განხორციელება უამრავ გადაულახავ პრობლემასთანაა დაკავშირებული. აფხაზები საერთაშორისო ფრენას უწოდებენ იმას, სოჭიდან სოხუმში რომ ჩამოფრინდება. ეს საერთაშორისო ფრენა არ არის. აქაც მათ ძალიან დიდი პრობლემები შეექმნებათ.

# განჩინება

**1.** გამოქვეყნდეს საჯარო შეტყობინება (ცნობა) გაზეთში „ახალი თაობა“ შემდეგი სახით:

**2.** ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე დარინა აბულაძის წარმოებაშია სამოქალაქო საქმე (№ 2/1603-19) სსიპ შემოსავლების სამსახურის განცხადებისა გამო, ქონების უპატრონოდ ცნობის თაობაზე.

**3. უპატრონოდ საცნობ ქონებას წარმოადგენს:**

**3.1.** აქციზური მარკებით სავალდებულო ნიშანდებას დაქვემდებარებული უაქციზო საქონელი 79 კოლოფი თამბაქო „ARMADA“ და 7 კოლოფი თამბაქო „M1“, რომელიც დროებით შენახვის მიზნით განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციულ შენობაში (მის: ქ. ქუთაისი, ჯავახიშვილის ქ. № 5)

**4.** განემარტოთ დაინტერესებულ პირებს, რომ თუ მათ გააჩნიათ პრეტენზია ზემოაღნიშნული ნაპოვნი ,,საქონლის უპატრონოდ ცნობა“-ზე, რომლის უპატრონოდ გამოცხადებასაც მოითხოვს სსიპ შემოსავლების სამსახური, შეუძლიათ თავიანთი უფლებების შესახებ განაცხადონ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11) 3 თვის განმავლობაში დღიდან პუბლიკაციისა;

**5.** თუ სასამართლოში შემოვა განცხადება ქონებაზე უფლების შესახებ, მაშინ სასამართლო თავისი განჩინებით განუხილველად ტოვებს განცხადებას ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ და წინადადებით მიმართავს განმცხადებელს, აღძრას აღიარებითი სარჩელი იმ პირის მიმართ, რომელმაც განაცხადა თავისი უფლება ქონებაზე. თუ დანიშნული ვადის გასვლამდე სასამართლოში არ შემოვა განცხადება ქონებაზე უფლების შესახებ, სასამართლო განიხილავს საქმეს და გამოჰკითხავს იმ პირებს, რომელთაც შეუძლიათ ცნობების მიწოდება ქონების კუთვნილების შესახებ, აგრეთვე გამოითხოვს ცნობებს შესაბამისი ორგანოებიდან.

**6.** განჩინება კერძო საჩივრით არ საჩივრდება.

**მოსამართლე დარინა აბულაძე**

# სასამართლომ ირაკლი ოქრუაშვილი პატიმრობაში დატოვა

ირაკლი ოქრუაშვილის საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლომ დაუშვებლად ცნო. თავდაცვის ყოფილი მინისტრის ადვოკატი აღკვეთის ღონისძიების სახით, წინასწარი პატიმრობის შეფარდებას ასაჩივრებდა.

„გამარჯვებული საქართველოს“ წევრის კოტე კემულარიას თქმით, ხელისუფლება სახიფათო პრეცედენტის პრაქტიკას ქმნის.

– ეს არის ძალიან სახიფათო პრეცედენტი, პრაქტიკა, რასაც ეს ხელისუფლება ქმნის, რომ ასეთ რეზონანსულ საქმეზე, რომელშიც პრაქტიკულად არაფერია ნათქვამი, გარდა პოლიციელების ჩვენებისა, რომლებიც დაპატიმრების წინა დღეს გამოაცხობინეს ამ მაღალჩინოსნებს, პოლიციელებს, და კადრი რომელიც ნახა, იქ წითელი ისრის გარდა, საინტერესო არაფერი არ არის, არა თუ ტალღა, მეტი სხვა არაფერი.

საერთოდ არ განიხილეს. არც არგუმენტები განიხილეს, არც რაიმე მტკიცებულებები ან საერთოდ არსებობს თუ არა რამე სარწმუნო ერთობლიობა, საერთოდ არ იმსჯელეს ამაზე. აბა რისთვის არსებობს სააპელაციო სასამართლო, – აღნიშნა კემულარიამ.



# ახტალაში 22 წლის გიორგი მაისურაძე ხეზე ჩამომხრჩვალი ნახეს

## „გვითხრა, მეგობართან სტუმრად მივდივარო“



30 ივლისს 22 წლის გიორგი მაისურაძემ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

გურჯაანში, კურორტ „ახტალას“ ტერიტორიაზე ხეზე ჩამოკიდებული ახალგაზრდა მამაკაცი გამვლელმა ნახა.

ის გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ახაშენში ცხოვრობდა. თანასოფლელები მას კეთილშობილ და მშრომელ ახალგაზრდად ახასიათებენ.

ახლობლების ინფორმაციით, ის თბილისში, სხვა თანასოფლელ ახალგაზრდებთან ერთად საზამთროს ყიდდა.

ოჯახის წევრები ყვებიან, რომ დილით მან სახლი ყოველგვარი აღელვების გარეშე დატოვა.

– გვითხრა, მეგობართან სტუმრად მივდივარო, ნერვიულობის არაფერი ეტყობოდა, – თქვა გარდაცვლილის მამამ, კობა მაისურაძემ.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

# მაშველებმა თუშეთში ავარიაში დაღუპული მამაკაცის ცხედარი იპოვეს

გუშინ, 31 ივლისს, მაშველებმა ფშაველი-აბანო-ომალოს უღელტეხილზე მომხდარი ავარიის შედეგად გარდაცვლილი მეშვიდე მამაკაცის ცხედარი იპოვეს.

ფშაველი-აბანო-ომალოს უღელტეხილზე მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შემდეგ სამაშველო-საძიებო ოპერაცია დასრულებულია.

„ხეობაში ამ ხნის განმავლობაში მობილიზებული იყო საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის კახეთის სამმართველოს და მთავარი სამმართველოს განსაკუთრებულ სიტუაციებზე სწრაფი რეაგირების სამაშველო ჯგუფები.

ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად გარდაცვლილი მოქალაქეების სამაშველო-საძიებო ოპერაცია უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა. მაშველებმა შეძლეს ავარიას გადარჩენილი ხუთი მოქალაქიდან სამის უვნებლად ამოყვანა ხეობიდან, მათ სიცოცხლეს და ჯანმრთელობას ამ დროისთვის საფრთხე არ ემუქრება.

ექვსი გარდაცვლილის წყლიდან ამოყვანა პირველივე დღეებში მოხერხდა. შემდეგ ეტაპზე სპეცტექნიკის დახმარებით ხევში გადავარდნილი სატვირთო ავტომობილი წყლის კალაპოტიდან გამოიტანეს.

სამაშველო ოპერაციაში ჩაერთნენ მყვინთავებიც. ღამის განმავლობაში მდინარე სტორის უწყვეტი მონიტორინგი მიმდინარეობდა. პარალელურად სამაშველო ჯგუფები აწარმოებდნენ კალაპოტის 4 კილომეტრიანი მონაკვეთის დეტალურ დათვალიერებას.



ავტოსაგზაო შემთხვევა 27 ივლისს მოხდა. ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება სსკ-ს 276-ე მუხლის მე-8 ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია“ – აღნიშნულია შსს-ს განცხადებაში.

# ბათუმში 3 ბიჭი დაჭრეს




30 ივლისს, გვიან ღამით, ბათუმში ზღვის სანაპიროზე 3 ახალგაზრდა ბიჭი დაჭრეს.

დაშავებულები ბათუმის რეფერალურ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

სამედიცინო პერსონალის განცხადებით, მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანებას გულისხმობს. ამ დროისთვის სხვა დეტალები უცნობია.

# ურეკში ზღვაში 12 წლის გოგონა და ახალგაზრდა ქალი დაიხრჩვნენ

ურეკში, კაპროვანის დასახლებაში, შავ ზღვაში 2 ადამიანი დაიხრჩო.

თვითმხილველების ცნობით, ერთი მათგანი 12 წლის ბავშვია, მეორე კი – ახალგაზრდა გოგონა, რომელსაც 2 მცირეწლოვანი შვილი ჰყავს.

სამაშველო სამსახურის დახმარება სჭირდებოდა კიდევ ერთ მოზარდს, რომელიც წყლიდან უვნებლად ამოიყვანეს.

შემთხვევა გუშინ, 31 ივლისს, მოხდა. როგორც თვითმხილველმა „კურიერს“ განუცხადა, ორივე გარდაცვლილი ადგილობრივია.

სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ შემთხვევის ადგილზე მისვლა დააგვიანა.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.



# 17 წელი განზრახ მკვლელობისა და განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის



თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და მოქალაქე ა.მ. განზრახ მკვლელობისთვის და ასევე, განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის დამნაშავედ ცნო.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2018 წლის 16 ნოემბერს, ქ. თბილისში, ონაშვილის ქუჩაზე, ა. მ. -მ დანის გამოყენებით, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, მოკვლის განზრახვით სხეულის სხვადასხვა არეში სიცოცხლისთვის სახიფათო არაერთი ჭრილობა მიაყენა რ.უ. -ს და ა. ს. -ს. მიყენებული ჭრილობების შედეგად, რ.უ. ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო დაჭრილი ა.ს. -ს გადარჩენა დროული სამედიცინო ჩარევის შედეგად მოხერხდა.

სამართალდამცველებმა ა.მ. იმავე დღეს დააკავეს.

მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე (განზრახ მკვლელობა) და 19,109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ორი პირის მკვლელობის მცდელობა) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ბრალდებული ა.მ. სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის ზომად 17 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

# თბილისის აეროპორტში სამხრეთ აფრიკიდან მომავალ მგზავრს 20 კგ მარიხუანა უპოვეს

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებთან ერთად, საქართველოში განსაკუთრებით დიდი ოდენობით მარიხუანის უკანონოდ შემოტანის ფაქტი აღკვეთეს.

– 27 ივლისს, საბაჟო გამშვებ პუნქტში „თბილისის აეროპორტი და თბილისის ტექნოლოგიური პარკის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა“ ეჭვის საფუძველზე, სამხრეთ აფრიკიდან მომავალი, საეჭვო ტრანზიტული მარშრუტის მქონე მგზავრის ვ.ს.-ს კუთვნილი ხელბარგის დეტალური დათვალიერების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით, 20 კილოგრამი „მარიხუანა“ გამოვლინდა, – ნათქვამია შემოსავლების სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა-გადაზიდვისა და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტებზე, საქართველოს სსკ-ს 273-ე მუხლის მე-6 ნაწილით და 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი მიმდინარეობს.



# ჭაში ჩავარდნილი 72 წლის ინდიკო ჯომიდავა გარდაცვლილი იპოვეს



72 წლის ინდიკო ჯომიდავას ცხედარი, რომელიც ზუგდიდში, მედეას ქუჩაზე ჭის ამოწმენდისას ჩამოშლილი მიწის ქვეშ მოყვა, 30 ივლისს, ღამით ამოიყვანეს.

ჯომიდავას ცხედარი ქუთაისში ექსპერტიზაზე გადაასვენეს. მის ამოსაყვანად მაშველები თითქმის მთელი დღის განმავლობაში მუშაობდნენ.

შს სამინისტროს ინფორმაციიით, ფაქტზე გამოძიება 124-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანებას გაუფრთხილებლობით.

# სუსის ანტიკორუფციულმა სააგენტომ ქრთამის მიცემის ფაქტზე ერთი პირი დააკავა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროსთან თანამშრომლობით ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, ქრთამის მიცემის ფაქტზე მოქალაქე შალვა თ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ შალვა თ-მ საცხოვრებელი ბინიდან მობინადრეთა გამოსახლების პროცესის დაჩქარების სანაცვლოდ, აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციის ოფიცერს ქრთამის სახით 500 აშშ დოლარი შესთავაზა, ხოლო 300 აშშ დოლარი წინასწარ გადასცა.

გამოძიება ქრთამის მიცემის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 339-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რაც სასჯელის სახით 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს). გამოძიებას აწარმოებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო.



# მოსკოვის მერიამ 3 აგვისტოს საპროტესტო აქცია აკრძალა

რუსეთის ლიბერალურმა პარტიამ მოსკოვის მერიაში 3 აგვისტოს საპროტესტო მიტინგის ჩატარების თაობაზე განცხადება გააკეთა.

ამის თაობაზე პარტიის წარმომადგენელი ბოიკო იტყობინება.

— მერიამ უარით გამოგვისტუმრა, — ამბობს ბოიკო.

რუსეთის საგამომძიებლო კომიტეტმა კი მოსკოვში საპროტესტო აქციების ორგანიზატორთა წინააღმდეგ საქმე აღძრა. რუსული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ლიუბა სობოლი აცხადებს, რომ ხელისუფლება შეშინებულია.

— ამ მასშტაბის საპროტესტო აქციები რუსეთში კარგა ხანია არ ყოფილა! პუტინს ნერვებმა უმტყუნა, — აცხადებს სობოლი.

რუსეთის დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი მიიჩნევს, რომ შექმნილ ვითარებაში პუტინი საქართველოსა და უკრაინაში თავის ძირგამომთხრელ საქმიანობას გააააქტიურებს.

—პუტინი შეეცდება, დაძაბულობა რუსეთიდან უკრაინაზე ან საქართველოზე გადაიტანოს. ამ ქვეყნებში პუტინის აგენტურა მკვეთრად გააქტიურდება. მიზანი საქართველოსა და უკრაინაში მასობრივი არეულობების ინსპირირებაა, — თქვა სობოლმა.





# აშშ-ის ნაციონალურ დაზვერვას ჯონ რეტკლიფი უხელმძღვანელებს

აშშ-ის ნაციონალური დაზვერვის შეფი კოუტსი აგვისტოში პოსტს დატოვებს. პრეზიდენტმა ტრამპმა ამ პოსტზე სენატორი ჯონ რეტკლიფის კანდიდატურა წამოაყენა.

რეტკლიფი ცნობილია, როგორც ტრამპის თავგამოდებული მომხრე. ის სპეცპროკურორ მუელერს და მის გამოძიებას სასტიკად აკრიტიკებდა.

რეტკლიფს აშშ-ის სენატში რიგი წამყვანი პოსტი ეკავა.

# კუნძულ კრეტაზე მიწისძვრა მოხდა

ევროპის ხმელთაშუა ზღვისპირეთის სეისმოლოგიური ცენტრის მონაცემებით, კუნძულ კრეტას ნაპირთან ახლოს მიწისძვრა დაფიქსირდა, რომლის მაგნიტუდაც 5,0 იყო.

ეპიცენტრი ქალაქ ირაკლიონიდან დასავლეთით 16 კილომეტრზე და 80 კილომეტრის სიღრმეზე იყო.

დაზარალებულებისა და ნგრევის შესახებ ინფორმაცია არ არის.



# ჩრდილოეთ კორეამ ბალისტიკური რაკეტების გამოცდა განაახლა



ჩრდილოეთ კორეამ ბალისტიკური რაკეტების გამოცდა განაახლა.

ეს იყო მცირე სიშორის ბალისტიკური რაკეტების გამოცდა და მან წარმატებით ჩაიარა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

## სპორტი

# საბურთალო ზაგრებიდან ერევნისკენ დაიძრა



**დინამო (ზ)-საბურთალო 3:0**

**ზაგრები. მაქსიმირი**

1:0 ორსიჩი (77), 2:0 პეტკოვიჩი (88), 3:0 ოლმო (90)

**დინამო:** ლივაკოვიჩი, ადემი, ლეშკოვიჩი, პეროვიჩი, პინტო, ჰაიროვიჩი (მეიერი 85), გოიაკი, ლეოვაცი, კაძიორი (ოლმო 75), ორსიჩი, გავრანოვიჩი (პეტკოვიჩი 63)

**საბურთალო:** კუპატაძე, მალი (ტაბატაძე 59), მარგველაშვილი, კაკუბავა, რეხვიაშვილი, ცნობილაძე, ჩაბრაძე (ჯინჯოლავა 69), ალთუნაშვილი, გორგიაშვილი (დიასამიძე 61), როლოვიჩი, გაბედავა

უეფას ჩემპიონთა ლიგას მე-2 საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო შეხვედრაში ზაგრების დინამომ საქართველოს ჩემპიონ საბურთალოს უმასპინძლა და 3:0 მოუგო. შედეგი კანონზომიერიც არის და ლოგიკურიც. ხორვატიული კლუბი კლასით, გამოცდილებით და კიდევ ბევრი საფეხბურთო ნიუანსით აღემატებოდა ქართველებს. სხვაობა, თვალნათელია და ამაზე ბევრჯერ გვისაუბრია, ამიტომ თავს არ შეგაწყენთ... ალბათ, წლების შემდეგ თუ შევძლებთ გათანაბრებას... ჯერ ადრეა...

საბურთალომ თბილისურ მატჩში მეტნაკლებად საინტერესო პირველი ტაიმი ითამაშა, მაგრამ შესვენების შემდეგ 2-რაუნდიანი დაპირისპირების ბედი „მიხეილ მესხზევე" გადაწყდა. ცუდი არ იყო არც „მაქსიმირზე" გამართული მატჩის პირველი ტაიმიც, მაგრამ ფეხბურთი 90 წუთს გრძელდება.

ხორვატიული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ნენად ბიელიცამ ჩვეული ტაქტიკა აირჩია, პირველი ნახევარი მეტოქეს ბურთი და ინიციატივა დაუთმო, მეორე ტაიმში კი მომენტების რეალიზებაზე ზრუნვა და შეტევის გაძლიერება დაიწყო.

70-ე წუთიდან, როდესაც ზაგრების დინამომ ტემპს მოუმატა, ქართული გუნდის დაცვაში შეცდომებმაც იმატა და ამას 3 უპასუხო გოლი მოჰყვა. როგორც თბილისში, პირველი 2 გოლის ავტორები, შესაბამისად 77-ე და 88-ე წუთებზე ორსიჩი და პეტკოვიჩი გახდნენ, საბოლოო წერტილი კი მატჩში ცვლილებაზე შემოსულმა ოლმომ დასვა, ეს უკანასკნელი მეტოქის მთავარ დამრტყმელ ძალად მიიჩნევა და დღე-დღეზე მიუნხენის ბაიერნის ფეხბურთელიც გახდება.

ამრიგად, ორი მატჩის ჯამში საბურთალომ 5 უპასუხო გოლი გაუშვა და ჩემპიონთა ლიგაში სადებიუტო სეზონში გამოსვლა მეორე ეტაპზე დაასრულა.

თბილისური კლუბი ევროპის ლიგაზე გადაერთო, სადაც მეტოქე სომხური არარატ არმენია იქნება. პირველი მატჩი ერევანში, 8 აგვისტოს შედგება.

# 18 წლამდე ნაკრებს ფლეი ოფამდე ერთი ნაბიჯი დარჩა



საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებმა კალათბურთში ევროპის ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპზე მე-3 მატჩი მოიგო და ფლეი ოფში გასვლის გზაზე დიდი ნაბიჯი გადადგა. თემურ კანკიას გაწვრთნილმა გუნდმა უკრაინა დაამარცხა და ჯგუფში მე-2 ადგილზე დამკვიდრდა.

საქართველოს კონკურენტად ირლანდია დარჩა, რომელმაც დანია დაამარცხა და უკრაინის მსგავსად, 4 ტურის შემდეგ 2-2 მოგებ-წაგება აქვს. ჯგუფის ბოლო მატჩში, საქართველო ირლანდიას ხვდება და თუ გაიმარჯვა, ფლეი ოფში გავა, არადა, ჯგუფიდან გასვლის საკითხს ბურთების შეფარდება გადაწყვეტს, რისი დაანგარიშებაც ახლა ცოტა ნაადრევია.

საქართველომ უკრაინა ღირსეულ, საკმაოდ დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა. საქართველოს ნაკრებმა 85:73 მოიგო და ჯგუფში დაუმარცხებელ ჩრდილოეთ მაკედონიის ზურგს უკან მე-2 ადგილზეა.

გამარჯვებულთაგან 24 ქულით საუკეთესო იყო რატი ანდრონიკაშვილი. 11 ქულა და 10 მოხსნა დააგროვა ანზორ ნადირაძემ. 12 ქულა ვლადიმერ თავაქარაშვილის ანგარიშზე დაგროვდა. ალექსანდრე მერკვილაძემ 10 ქულა და 9 მოხსნა მიითვალა, ლაშა მიქელაძემ კი შეხვედრა 9 ქულით დაასრულა.

# რაგბის კავშირმა რუსების შემცვლელს სამხრეთ აფრიკაში მიაგნო

თბილისში, 27 აგვისტოს, საქართველოს დედაქალაქს სამხრეთ აფრიკული სარაგბო გუნდი საუზერნ კინგსი ეწვევა და ბორჯღალოსნებთან მატჩს გამართავს.

2019 წლის მსოფლიო თასისთვის მზადების დასკვნით ეტაპზე, მილტონ ჰეიგის შეგირდებს 3 ტესტ-მატჩი უნდა გაემართათ. შოტლანდიასთან შინ და გარეთ გასამართ შეხვედრებამდე (31 აგვისტოს თბილისში და 6 სექტემბერს ედინბურგში), საქართველოს რუსეთის ნაკრებთან უნდა ეთამაშა, მაგრამ მეტოქემ „მსოფლიო რაგბის" მიერ დანიშნული შეხვედრა აბსურდული მიზეზით გააუქმა და ბორჯღალოსნების გაწერილი მზადების პროცესი საფრთხის წინაშე დააყენა.

რაგბის კავშირმა ალტერნატიული მეტოქის ძიება დაიწყო და სხვადასხვა ვარიანტიდან გინეს პრო 14-ის სამხრეთაფრიკული გუნდი, საუზერნ კინგსი შეარჩია, რომელსაც 27 აგვისტოს „მიხეილ მესხზე" ვეთამაშებით.

# არგენტინას კვლავ სკალონი გაწვრთნის

არგენტინის საფეხბურთო ასოციაციამ (აფა) საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო და ლიონელ სკალონი ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე დატოვა.

აფა-მ დაადასტურა, რომ „ალბისელესტეს" მსოფლიოს ჩემპიონატისთვის, რომელიც 2022 წელს ყატარში გაიმართება სწორედ 41 წლის სკალონი მოამზადებს. მუნდიალის საკვალიფიკაციო ეტაპი არგენტინისთვის 2020 წლის დასაწყისში იწყება.

არგენტინის ნაკრების გულშემატკივართა უდიდესი ნაწილი სკალონისთვის ასეთი ნდობის გამოცხადების წინააღმდეგი იყო, მაგრამ ცხადი ხდება, რომ ზუსტად ისე, როგორც შარშან, აფა-მ მასზე უკეთესი სპეციალისტი ვერ დაითანხმა.



სკალონიმ „ალბისელესტე" 2018 წლის აგვისტოში, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ჩაიბარა და ამ თანამდებობაზე ხორხე სამპაოლი შეცვალა. თავდაპირველი გადაწყვეტილებით, სკალონი ლიონელ მესის გარშემო აწყობილი გუნდის დროებითი მწვრთნელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ გასული წლის ნოემბერში მას სრული ნდობა გამოუცხადეს და მთავარ მწვრთნელად ოფიციალურად დააწინაურეს.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

## შედეგები

**30 ივლისი**

**ფეხბურთი**

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| აპოელი-სუტიესკა | 3:0 |
| მაქაბი-კლუჟი | 2:2 |
| კალიუ-სელტიკი | 0:2 |
| ბაზელი-პსვ | 2:1 |
| ვალეტა-ფერენცვაროში | 1:1 |
| დინამო (ზ)-საბურთალო | 3:0 |
| ოლიმპიაკოსი-პლზენი | 4:0 |
| **უეფას ევროპის ლიგა** | |
| ლინკოლნი-არარატი | 1:2 |
| სუდუვა-ტრე პენიე | 5:0 |
| დუდელანჟი-შკენდია | 1:1 |
| ფერონიკელი-სლოვანი | 0:2 |


## განცხადებები

**სხვადასხვა**

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● ფოტოსურათით მოგიხსნით აგრესიას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, თვითმკვლელობის სურვილს, შფოთიან ძილს, ალკოჰოლიზმს, აზარტული თამაშების სურვილს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აკვიატებებს, უიმედობას, ჯადო-თვალი-წყევლას. ფირმა „იადიგარ დაუდის" დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-49-84-23.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი — სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკობიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების", მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# ოთო ფოლადაშვილი „ყველაზე ძლიერის“ პირველი სეზონის გამარჯვებული გახდა

მოცეკვავე ოთო ფოლადაშვილი, რომელიც ფართო საზოგადოებამ „ცეკვავენ ვარსკვლავებიდან“ გაიცნო და შეიყვარა, რეალური შოუს „ყველაზე ძლიერის“ პირველი სეზონის გამარჯვებული გახდა.

ყველაზე ძლიერში საპრიზო ადგილები ასე გადანაწილდა: პირველი ადგილი მოცეკვავე ოთო ფოლადაშვილმა დაიკავა, მეორე ადგილი კალათბურთელ ანატოლი ბოისას ერგო, მესამე ადგილზე კი მსახიობი ჯანო იზორია გავიდა.

**ოთო ფოლადაშვილი:**

– გავიმარჯვე!

„ყველაზე ძლიერი“ – ძალიან დიდი მადლობა ტელეკომპანია იმედს, რომ მომეცა საშუალება მიმეღო მონაწილეობა ამ გრანდიოზულ პროექტში.

დიდი მადლობა ჩემს მეთაურს, უფროს ლეიტენანტ ჯილდა წურწუმიას გვერდში დგომისთვის, მოტივაციისთვის და ყველა იმ წუთისთვის, რაც მის გვერდით გავატარე.

მინდა აღვნიშნო გუნდი – მუხები, რომელიც საუკეთესო იყო მთელ პროექტში და მე მეამაყება, რომ ამ გუნდის წევრი ვიყავი.




დიდი მადლობა თქვენ ყველას, ვინც მგულშემატკივრობდით და ჩემთან ერთად ზეიმობთ ახლა ამ გამარჯვებას!

თქვენ ძალიან დიდი მადლობა, რომ ხართ ნამდვილად ყველაზე ძლიერები და ყველაზე ღირსეულნი. მე ძალიან მეამაყებით თქვენი თავდადებით, თავგანწირვით, ერთგულებით და სამშობლოს მიმართ სიყვარულით – საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

**ლიზა ყენია:**

– დიდი მადლობა ტელეკომპანია იმედს რომ მომეცა საშუალება მიმეღო მონაწილეობა ისეთ პროექტში, როგორიცაა ყველაზე ძლიერი. ულრმესი მადლობა პროდიუსერებს!

მადლობა იმ 1 თვისთვის, რომელიც გავატარე ბაზა იქსზე! ქედს ვიხრი თითოეული ჯარისკაცის წინაშე, მათი დიდსულოვნებით ვისუნთქე 1 თვის განმავლობაში.

ჩასვლიდან პირველივე დღეს დავიწყე თქვენით ცხოვრება, თქვენი ცხოვრებით, ყველაზე დიდ დროს ვატარებდი თქვენთან ურთიერთობაში, თქვენი შეცნობით ვიყავი დაკავებული და ეს თითოეულ დღეს უფრო საინტერესოს და დაუვიწყარს ხდიდა, მეგონა ერთი საინტერესო წიგნის პირველ გვერდზე გადავშალე და მთავარი პერსონაჟი მე ვიყავი, გოგო, რომელიც მოხვდა ბაზა იქსზე, სადაც ჩემი სამშობლოს საამაყო შვილები, ჩემი მეთაურები იყვნენ. თქვენ ბოლომდე მაგრძნობინეთ რამხელა ბედნიერებაა უბრალოებაში და კიდევ ერთხელ დამარწმუნეთ, რამდენად უმნიშვნელოა მატერიალური სამყარო, უფრო მეტად შემიყვარდა ჩემი სამშობლო. რას ვიფიქრებდი, რომ ამ სიყვარულს რამე აკლდა მანამდე, მაგრამ?! ახლა?! ახლა ნებისმიერ წამს მზად ვარ თქვენთან ერთად გამოუცდელმა რეკრუტმა თქვენთან ერთად იბრძოლოს ქვეყნისთვის.

თქვენი მოყოლილი ისტორიებით ვძლიერდებოდი და ვხვდებოდი, რომ მხოლოდ წიგნებში ამოკითხული თეორიები არ ყოფილა, რომ ადამიანის შესაძლებლობებს საზღვარი არ აქვს, რომ შეუძლებელი არაფერია, აღარ მტკივა, აღარ მეცოდება ჩემი თავი, ბევრად შემიყვარდა ადამიანი და უფრო მეტად მჯერა ჩემი ჯარის.

ვისურვებდი თითოეულ მოქალაქეს მიეცეს ბედნიერება, თუნდაც ორი კვირით ეზიაროს ამ გამოცდილებას, რადგან დაბრუნდეს უფრო ძლიერი პატრიოტი და უკეთესი ადამიანი, ვიდრე გუშინ იყო. მიყვარხართ.

# ქალის სიკვდილმა ოთხი ადამიანი გადაარჩინა



ინგლისის კენტის საგრაფოს ქალაქ დარტფორდის მკვიდრი გარდაცვალების შემდეგ ოთხი პაციენტის დონორი გახდა.

32 წლის კრისტალ ემილი ენის დიაბეტი ჰქონდა და თირკმლის და კუჭქვეშა ჯირკვლის გადანერგვა სჭირდებოდა, თუმცა ქალის ჯანმრთელობის მდგომარეობა 12 ივლისს მკვეთრად გაუარესდა და ორი დღის შემდეგ გარდაიცვალა.

ქალის გარდაცვალების შემდეგ, მისი ღვიძლი ორ ავადმყოფ ბავშვს გადაუნერგეს, ხოლო გული და ფილტვები ორ მამაკაცს, რომელთაც ამ ორგანოების ტრანსპლანტაცია ესაჭიროებოდათ.

ექიმებმა, ემილი ენის ახლობლებმა და მეგობრებმა აღნიშნეს, რომ ის კეთილი და მეგობრული იყო. მისმა მკურნალმა ექიმმა დაამატა, რომ ის თავისი ორი შვილის ტაილერის და ლეიტონისთვის შესანიშნავი დედა იყო.

# ქეთევან კიკნაძე ძველ თბილისში მშენებლობებს აპროტესტებს



მსახიობი ქეთევან კიკნაძე ძველი თბილისის უბნებში მიმდინარე მშენებლობებს აპროტესტებს და იმ საფრთხეებზე საუბრობს, რაც ამ მშენებლობებმა შეიძლება დედაქალაქის უძველეს უბნებს მოუტანოს:

– სოლოლაკი – ძველი თბილისის უბნები, ყოველი ქუჩაზე არის დიდი ადამიანების მემორიალები, ახმეტელის ძეგლი, ევგენი მიქელაძის მემორიალი, ტაბიძის, დადიანის, იაშვილის, ქიქოძის, ნატო ვაჩნაძის, ჩაიკოვსკის ყოფილი სახლი, ილია ჭავჭავაძის სამუზეუმო სახლი, დავითაშვილის ქუჩა, ასათიანის ქუჩა, ივანე მაჩაბლის ქუჩა, გიგა ლორთქიფანიძის ქუჩა, სახლზე მემორიალი, ვუკოლ ბერიძის ქუჩა, ვიცი გამომრჩა ისტორიული უბანი, რომელსაც მოვლა უნდა.

აქ არ შეიძლება მაღალსართულიანი სახლები, მთელი სოლოლაკი არის ტერასები, ამიტომ იყო, რომ ჩვენმა წინაპრებმა ააშენეს აქ მხოლოდ ორი და სამსართულიანი სახლები. ნუ დააყენებთ ხალხის სიცოცხლეს საფრთხეში. ქანებზე არ შეიძლება სახლების მშენებლობა. წინ უამრავი მაგალითი გვაქვს.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# მოჩვენებებზე მონადირეებს მეხანძრეებმა უშველეს

ინგლისის ლანკარშირის საგრაფოს ადლინგტონის ოლქში მოჩვენებებზე მონადირეები გაურკვეველი მიზეზით პოლიციის ყოფილ შენობაში ჩაიკეტნენ.

ინციდენტი რამდენიმე დღის წინ მოხდა. რეალიტი-შოუს რამდენიმე ვარსკვლავი სტუმრებთან ერთად პარანორმალურ მოვლენებზე ნადირობდნენ და ყოფილი პოლიციის შენობის საკნიდან გამოსვლა ვეღარ შეძლეს. ისინი ირწმუნებიან, რომ სპეციალურად გადაიყვანეს კარი ისეთ მდგომარეობაში, რომელშიც მისი ჩაკეტვა შეუძლებელია. ამის მიუხედავად ის მაინც ჩაიკეტა.

სახანძრო სამსახურის წარმომადგენლის თქმით, საკანში გამოკეტილ თავგადასავლების მაძიებლების განთავისუფლება მხოლოდ მეორე დღის დილით მოხერხდა. პოლიციამ მომხდარის გარემოებების გამოძიება დაიწყო.

# წვიმას გამოქცეულმა ნიანგმა სახლს შეაფარა თავი და პანიკა გამოიწვია

ინდოეთის მადხია-პრადეშის შტატში სამმეტრიანმა ნიანგმა საცხოვრებელ ბინას შეაფარა თავი.

ნიანგი ადამიანების საცხოვრებელში ძლიერი წვიმის დროს შევიდა. უზარმაზარი რეპტილიის გამოჩენამ როგორც იმ ოჯახში, რომელიც სახლში ცხოვრობდა, ასევე მთლიანად სოფელშიც პანიკა გამოიწვია.

სახლის პატრონმა მაშინვე სატყეო მეურნეობაში დარეკა, თუმცა ცხოველების დაჭერის სპეციალისტები შემთხვევის ადგილზე მხოლოდ მეორე დილით მივიდნენ. იმ დროისთვის სოფლის მცხოვრებლებმა თავად დაიჭირეს მტაცებელი, თოკებით გაკოჭეს და გზაზე გამოიყვანეს.

სატყეო მეურნეობის სპეციალისტებმა რეპტილია ნაპირებიდან გადმოსულ მდინარესთან მიიყვანეს და გაუშვეს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# სამგლოვიარო განცხადებები

## ქალბატონ ლეილა სტურუას ხსოვნას



გარდაიცვალა **ლეილა სტურუა** – საქართველოს ენდოკრინოლოგთა თვალსაჩინო წარმომადგენელი, უმაღლესი კვალიფიკაციის ექიმი, შესანიშნავი პიროვნება, კოლეგა, ახალგაზრდა თაობის ექიმთა დიდი მოამაგე და აღმზრდელი, სამაგალითო მეუღლე, დედა და სანაქებო ოჯახის შვილი.

ქალბატონმა ლეილამ პროფესიონალი ექიმი-ენდოკრინოლოგის სასახელო გზა განვლო იმ პერიოდიდან, როდესაც საქართველოში ყალიბდებოდა კლინიკური და მეცნიერული ენდოკრინოლოგია, როგორც უმნიშვნელოვანესი მოვლენა საქართველოს მედიცინის ისტორიაში. ამ რთულ გზაზე ქალბატონ ლეილას ხვდა პატივი ღირსეული მოწაფე ყოფილიყო ქართული სამედიცინო აზროვნების ისეთი კორიფეებისა, როგორებიც ბრძანდებოდნენ ლევან ანჯაფარიძე, ვაჟა ივერიელი და კონსტანტინე ვირსალაძე.

ამ ტრადიციებზე აღზრდილი ქალბატონი ლეილა, სრულიად ახალგაზრდა ასაკში უდიდესი პასუხისმგებლობის წინაშე აღმოჩნდა, როდესაც სწორედ მას მიანდეს ახლად გახსნილი საავადმყოფო გიგანტის, აკად. ნ. ყიფშიძის სახელობის რესპუბლიკური საავადმყოფოს ენდოკრინოლოგიური განყოფილების ხელმძღვანელობა. ქალბატონმა ლეილამ ღირსეულად ზიდა ეს მძიმე და საპატიო ტვირთი ხსენებული კლინიკური განყოფილების დასაბამიდან მთელი მისი არსებობის განმავლობაში. უამრავი პაციენტის, ერთგული მეგობრების, მრავალი თაობის ექიმებისა და სრულიად საზოგადოების ხსოვნა იქნება ის გულწრფელი მადლიერება, რომელიც ნამდვილად დაიმასახურა ქალბატონმა ლეილა სტურუამ.

**საქართველოს ენდოკრინოლოგთა საზოგადოების სახელით,**

*პროფესორი დავით მეტრეველი, საზოგადოების თავმჯდომარე, თბილისის სახ. სამედიცინო უნივერსიტეტის ენდოკრინოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. სამხედრო-ადმინისტრაციული ტერიტორიული ერთეული ძველად საქართველოში; 2. დელფინის ერთ-ერთი სახეობა; 3. კინოცენტრი იტალიაში; 4. ერთ-ერთი პირველი ქართული საბავშვო ჟურნალი; 5. ძველებური ქართული ბასრწვერიანი სატყორცნი საბრძოლო იარაღი; 8. მინერალური წყალი ჯავის რაიონში; 9. ფუფუნებით განებივრებული ადამიანი; 12. უდაბნოში მზარდი მცენარე; 13. ყურძნის შაქარი; 16. სმენის განსავითარებელი ვოკალური სავარჯიშო მუსიკაში; 17. ცნობილი საკონცერტო დარბაზი პარიზში; 19. იანვრის თვის ქართული სახელწოდება; 20. კათოლიკე მღვდელი პოლონეთში.

**თარაზულად:** 6. ომების მოწინააღმდეგე ადამიანი; 7. დაბალი რანგის დიპლომატიური წარმომადგენელი; 8. გერმანელი დრამატურგი, მწერალი, თეატრალური რეჟისორი; 10. საფრანგეთის კუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 11. საზღვაო სავაჭრო ხელშეკრულება; 14. სპორტის სათამაშო სახეობა; 15. რაიმე სადავო საკითხის შემფასებელი, დასკვნის გამომტანი სპეციალისტი; 18. თანამედროვე სამგზავრო-სატრანსპორტო გემი; 21. ჭადრაკში ფიგურების განლაგება ამა თუ იმ მომენტში; 22. მდინარე დუნაის ძველი სახელწოდება; 23. ჰომეროსის ეპიკური პოემა; 24. ლიგურიის ზღვისპირა კურორტი იტალიაში.

*შეადგინა თ. გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. პიგმალიონი; 2. კავანი; 3. გრდემლი; 4. ბანგი; 5. სიტროენი; 6. ლუქსი; 7. ჰანტელი; 9. ბეტისი; 13. გაყრა; 17. საგა; 18. კია.

**თარაზულად**: 1. პარსეკი; 3. გალები; 8. ჩიხურა; 10. ჰარიერი; 11. ტარტუ; 12. ნიამორი; 14. ფიესტა; 15. ამირანი; 16. ნესვი; 19. სურამი; 20. ჯინჯილა; 21. ყაბახი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. გახარია; 2. გერნიკა; 3. ცილინდრი; 4. შულერი; 5. ფერხული; 8. ბიბლისი; 9. მატაბელი; 12. ბერნარდი; 13. ჭიშკარი; 16. გაგრიფში; 17. მადრიდი; 19. აღლუმი; 20. მექისე.

**თარაზულად**: 6. ჯარაექიმი; 7. კუბდარი; 8. ბრიუგე; 10. არაქისი; 11. წუღა; 14. კვიპროსი; 15. ქრისტინე; 18. ხაიამი; 21. ღერღედი; 22. სელბი; 23. იანუსი; 24. ტიტესტერი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


1 აგვისტო

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი


აშშ დოლარი — 2.9718


ევრო — 3.3127


ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6170


100 რუსული რუბლი — 4.6554

## ამინდის პროგნოზი 1 აგვისტო





## „ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

## „მე მიყვარს კითხვა“

16 ივლისიდან

ელეონორ პორტერი

**პოლიანა**

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი







19 ივლისიდან

რევაზ მიშველაძე

**ციყვი ბორბალში**

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი


## იუმორი

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ჩემი შვილისთვის მუსიკის მიმართ ინტერესი რომ გამეღვივებინა, ვიოლინო ვუყიდე...

– მერე?

– არაფერი გამოვიდა...

– მეც მასე დამემართა, როდესაც სიდედრს „ჩემოდანი“ ვაჩუქე...

•••

ქალი მამაკაცს ეუბნება:

– ოჰ, არც კი ვიცი, მადლობა როგორ გადაგიხადოთ!

– იცით, იცით...

•••

ერთი მამაკაცი მეორეს ეუბნება:

– შენ ჯოჯოხეთში განსაკუთრებული ადგილი გაქვს გამზადებული!

– ვიცი! ტახტი!

•••

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეკითხება:

– აბა, როგორ ხარ? როგორ გყავს ბავშვები?

– ნუ მკითხავ!

– რა, ასე ცუდადაა საქმე?

– გუშინ ჩემი უფროსი ბიჭი სკოლიდან სახლში მთვრალი დაბრუნდა... დღეს სკოლაში უნდა მივიდე...

– და შენ ფიქრობ, რომ შენც დაგალევინებენ?

•••

ბიჭი გოგოს ეუბნება:

– გოგონი, შემიძლია სიყვარულის ხელოვნება შეგასწავლოთ...

– და რამდენის დახარჯვას აპირებთ ჩემ განათლებაზე?

•••

მოზრდილი შვილი მამას ეკითხება:

– მამა, პრეზერვატივი რომ გაიხეს, რა მოხდება?

– სარკეში ჩაიხედე და დაინახავ.

•••

ბიჭი გოგოს ეუბნება:

– მოდი, დღეს პრეზერვატივის გარეშე ვისიყვარულოთ.

– რატომ?

– ცხელა.

•••

ქალი სექს-შოპში დიდხანს ათვალიერებს ვიტრინებს, შემდეგ კი გამყიდველს ეკითხება:

– გასასინჯი ოთახი სად გაქვთ?

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


გაზეთი „ახალი თაობა“ და ვებგვერდი AKHALITAOBA.GE აცხადებენ 50%-იან საზაფხულო ფასდაკლებას რეკლამის განთავსებაზე 1 სექტემბრის ჩათვლით. დარეკეთ 577460659 ან 595183709


## მოურინიო შესაძლოა ვალენსიას მწვრთნელი გახდეს



პორტუგალიელი სპეციალისტი ჟოზე მოურინიო ესპანურ ვალენსიასთან მოლაპარაკებებს აწარმოებს და შესაძლოა მალე ის ამ გუნდში ვიხილოთ.

ჟოზე ჯერჯერობით კომენტარს არ აკეთებს, მაგრამ ვალენსიამ დაადასტურა, რომ მოლაპარაკებები მიმდინარეობს.

მოურინიო 2018 წლის ბოლოს გაათავისუფლეს მანჩესტერ იუნაიტედიდან და მას შემდეგ მას არც ერთ გუნდში არ უმუშავია.

პორტუგალიელი სპეციალისტი ხშირად საუბრობს იმაზე, რომ მისთვის მთავარი ფული არ არის და ის მხოლოდ იმ გუნდში იმუშავებს, რომელსაც ამბიცია ექნება.

## მალკომი ოფიციალურად ზენიტის ფეხბურთელია



ბრაზილიელი ფორვარდი მალკომი ოფიციალურად ზენიტის ფეხბურთელია და რამდენიმე დღეში ის სანკტ-პეტერბურგში ჩავა, სადაც კონტრაქტს მოაწერს ხელს.

მალკომი რუსეთის ჩემპიონატში ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი იქნება. ზენიტი ამ ტრანსფერში 40 მილიონს გადაიხდის და ბარსელონას ეს თანხა აკმაყოფილებს.

მალკომი ბარსელონაში შარშან გადავიდა, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში ადგილის მოპოვება ვერ შეძლო.

## პოჩეტინო: „ტოტენჰემს ახალი ფეხბურთელები არ სჭირდება“



ტოტენჰემის მთავარმა მწვრთნელმა მოურისიო პოჩეტინომ განაცხადა, რომ მის გუნდს ტრანსფერები დიდად არ სჭირდება, რადგან ტოტენჰემში საკმარისად არიან ძლიერი ფეხბურთელები:

– ჩვენ უკვე გვყავს ის ფეხბურთელები, რომლებიც განაპირობებენ ჩვენს კარგ თამაშს და შედეგს ქმნიან. მთავარია, ისინი არ დავკარგოთ და მომავალ სეზონში ისევ ძლიერები ვიქნებით.

პოჩეტინომ დაამატა, რომ მომავალ წელს ტოტენჰემი ყველა ტურნირში მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძოლებს.

შეგახსენებთ, რომ შარშან ტოტენჰემი ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავიდა.

## ზიდანი: „რეალი ოპტიმალურ ფორმას დაიბრუნებს“



ზინედინ ზიდანმა რეალზე ისაუბრა და თქვა, რომ ამხანაგურ მატჩებში ცუდი შედეგი არაფერს ნიშნავს და რეალი მალე შევა ოპტიმალურ ფორმაში.

ზიდანმა ტრავმირებულ ფეხბურთელებზეც ისაუბრა და იმედი გამოთქვა, რომ სეზონის მანძილზე რეალს ეს პრობლემა არ შეაწუხებს:

– იმედი მაქვს, ტრავმები ზაფხულში დასრულდება და შემდეგ აღარ შეგვაწუხებს. ვიცი, რომ რეალი ცუდად თამაშობს, მაგრამ ფეხბურთელები ჯერ ოპტიმალურ ფორმაში არ არიან და როდესაც ისინი აღიდგენენ კონდიციებს, თქვენ სულ სხვა რეალს იხილავთ.

## კრიშტიანო რონალდუმ ბარსელონას დასცინა



იუვენტუსის ვარსკვლავმა კრიშტიანო რონალდუმ ჩემპიონთა ლიგაზე ისაუბრა და თქვა, რომ მის მოსაგებად მთავარი ფული არ არის.

რონალდუმ მაგალითად ბარსელონა მოიყვანა, რომელმაც ამ ტურნირის მოგება ბოლო 5 წლის მანძილზე ვერ შეძლო:

– ვფიქრობ, იუვენტუსს წელს კარგი შანსი აქვს, რადგან ჩემპიონთა ლიგის მოსაგებად არ არის აუცილებელი ბევრი ტრანსფერი. ბარსელონამ ბოლო 5 წელიწადში ტრანსფერებში უამრავი ფული დახარჯა, მაგრამ ჩემპიონთა ლიგა მაინც ვერ მოიგო.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## აუტანელმა სიცხემ ქალს გაშიშვლება აიძულა



დიდი ბრიტანეთის დედაქალაქ ლონდონის აღმოსავლეთ ნაწილში ანომალიურად ცხელი ამინდის გამო ქალი სრულიად გაშიშვლდა. ამის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა თვითმხილველმა ტვიტერში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა.

კადრებში ჩანს, თუ როგორ გადადის ქუჩაზე მხოლოდ მსუბუქ ფეხსაცმელში გამოწყობილი ქალი და წინ მიმავალ მამაკაცს უყვირის. ვიდეოს ავტორი კომენტარში აცხადებს, რომ ასეთი რამის ნახვა მხოლოდ აღმოსავლეთ ლონდონშია შესაძლებელი.

სოციალური ქსელის მომხმარებლები გაგებით მოეკიდნენ ქალის საქციელს, რომელმაც სიცხისგან თავის დასაღწევად ასეთ მეთოდს მიმართა.

– ძალიან მწველი სიცხე იყო, ეს კი ისეთ რამეს გაგაკეთებინებს, – იხუმრა ერთ-ერთმა საკუთარ კომენტარში.

– მას ნამდვილად ვერ განვსჯი, ქუჩაში ნამდვილი ჯოჯოხეთური სიცხე იყო, – დაწერა ქალის მხარდასაჭერად მეორემ.

– ვგრძნობ, რომ მთელი ლონდონი მზადაა ამ ქალს მიბაძოს, – დაწერა კომენტარში მესამემ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. ჩეხური ლუდი; 2. პისტოლეტის ჩასადები ტყავის ბუდე; 3. იტალიური რესტორანი; 4. გადასატანი მიმღებ-გადამცემი რადიოსადგური; 5. ქართული ზღაპრების პერსონაჟი, დიდი ფრინველი; 6. მრავალშრიანი ფანერი; 7. ნორვეგიელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 9. პორტუგალიური ღვინო; 13. ფულის ერთეული ყაზახეთში; 17. აღმოსავლური ტკბილეული; 18. უქოჩრო, მოლაპარაკე თუთიყუში.

**თარაზულად:** 1. დამუხლული, ღრუ ღეროს მქონე ტროპიკული მცენარე; 3. ზოგიერთი მცენარის მიწისქვეშა გამსხვილებული ფესვი; 8. იმრე კალმანის ოპერეტა; 10. ქართული ჩაი; 11. იაპონური ავტომობილი; 12. უბანი ძველ თბილისში; 14. საქართველოს თავდაცვის მინისტრი; 15. რაიონული ცენტრი კახეთში; 16. ჩამოწოლილი ნისლი, ბურუსი; 19. კოლუმბიის დედაქალაქი; 20. სპორტის ოლიმპიური სახეობა; 21. ქერისგან მომზადებული უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*